პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

KOMUNISTI

საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტისა და
საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო
ОРГАН ЦЕНТРАЛЬНОГО КОМИТЕТА КП (б) ГРУЗИИ и
СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР
გამოცემის 32-ე წელი

ოთხშაბათი, 21 მაისი, 1952 წ. № 119 (9279). ფასი 20 კაპ.

საქართველოს სსრ. სახ. ბიბლიოთეკა თბილისი

ეროვნული ბიბლიოთეკა

დღეს გაზეთში

დავაჩქაროთ მზადება მოსავლის აღებისათვის—მოწინავე (1-ლი გვერდი).

ვლადიმერ ილიას-ძე ლენინის სახელობის პიონერთა ორგანიზაციის ოცდაათი წლისთავისადმი მიძღვნილი საზეიმო კრების მონაწილეთა მისალმება ამხანაგ იოსებ ბესარიონის-ძე სტალინისადმი (1-ლი გვერდი).

ვ. ი. ლენინის სახელობის პიონერთა ორგანიზაციის ოცდაათი წლისთავი (1-ლი გვერდი).

მაღალი იდეურობისათვის გამოცდილებათა მუშაობაში!—„პრავდის“ 20-V მოწინავე (მე-2 გვერდი).

რატომ ჩამორჩა ბორის მშენებლობა და კეთილმოწყობა (მე-2 გვერდი).

კრიტიკა და ბიბლიოგრაფია — ერთი უხეირო თარგმანის შესახებ (მე-3 გვერდი).

პასუხი შეკითხვაზე — „შუა აღმოსავლეთის სარდლობის“ შესახებ (მე-3 გვერდი).

გუშინ რესპუბლიკის სკოლებში დაიწყო გამოცდები (მე-3 გვერდი).

უცხოეთის ინფორმაციები (მე-4 გვერდი).

დავაჩქაროთ მზადება მოსავლის აღებისათვის

ახლოვდება მოსავლის აღების პერიოდი. მარცვლეულის მოსავლის უდანაკარგოდ, სწრაფად აღებისათვის მომზადება უმნიშვნელოვანესი ამოცანაა. საჭიროა შრომის სწორად მოწყობით, საშუალო ძალების გონივრულად, წინდახედულად, მთელი მატერიალურ-ტექნიკური რესურსების სრულად გამოყენებით უზრუნველვყოთ მოსავლის ისე აღება, რომ არ დავკარგოთ არც ერთი კილოგრამი პური.

საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის ძველი ხელმძღვანელობის მიერ სოფლის მეურნეობის ხელმძღვანელობაში დაშვებულმა დიდმა შეცდომებმა, ნაკლოვანებებმა და პოლიტიკურმა ჩავარდნებმა უარყოფითი დაღი დაჰნიეს მარცვლეულის მეურნეობის განვითარების საქმეს. ცენტრალური კომიტეტის ყოფილ ხელმძღვანელთა მუშაობის მანკიერმა სტილმა პირდაპირი გამოხატულება ჰპოვა სოფლის პარტიული ორგანიზაციების მუშაობაში. უდარდელობას, პარადულ ხმაურს, მუშაობის ძოდუნებას მთელ რიგ რაიონებში შედეგად მოჰყვა ხორბლეულის მოსავლიანობის შემცირება. დაშვებული იყო კომბაინების, მოსავლის ასაღები სხვა მანქანების, სალეწების მოცდენა მოსავლის აღების დღეებში, რამაც მნიშვნელოვნად გაადიდა პურეულის დანაკარგი.

საქართველოს პარტიულმა ორგანიზაციამ მტკიცედ მოჰკიდა ხელი შეცდომებისა და ნაკლოვანებათა გამოსწორებას. კომუნისტებს, კომკავშირელებს და ყველა მშრომელს ბევრი მუშაობა მართებთ იმისათვის, რომ წარმატებით შეასრულონ დიდი სტალინის მიერ დასახული მთავარი ამოცანა რესპუბლიკის საკუთარი პურით უზრუნველყოფის შესახებ.

უწინარეს ყოვლისა უნდა ვიზრუნოთ, რომ უახლოეს დღეებში მაღალხარისხოვნად დავამთავროთ კომბაინების რემონტი. წელს პურეულის მნიშვნელოვანი რაოდენობა საქართველოში კომბაინებით იქნება აღებული. კომბაინი მოსავლის ასაღები მთავარი მანქანაა, რომელიც დიდძალი დანაკარგისაგან გვიცავს. არსებული მასალები მოწმობენ, რომ საქართველოში კომბაინების რემონტის მიმდინარეობა არადამაკმაყოფილებელია. განსაკუთრებით ეს ითქმის კაპიტალური რემონტის მხრივ. თბილისის ოლქში ჯერ კიდევ შესაკეთებელია 136 კომბაინი. სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქშიც ვერ არის ამ მხრივ კარგი მდგომარეობა.

კომბაინების რემონტი სერიოზულად ჩამორჩა ახალქალაქის, ვაჩიანის, ბოგდანოვკის, ადიგენის მტს-ებში. ბევრად უკეთესი მდგომარეობა ამ მხრივ არც თეძამის, ბოლნისის, ახალსოფლის, კასპის, წალკის, ავრალოს მტს-ებშია.

ზოგან უდარდელობასა და უპასუხისმგებლობას იჩენენ რემონტის ხარისხისადმი. შემოწმებით წნორის მტს-ში აღმოჩნდა, რომ რამდენიმე კომბაინი დაბალი ხარისხით იყო შეკეთებული. კომბაინების შეკეთებაში წუნს ახალსოფლისა და სხვა მტს-ებშიც ვხედებით. ეს იმითაც აიხსნება, რომ რაიონული პარტიული და საბჭოთა ორგანიზაციები, საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტრო სუსტ კონტროლს უწევენ მტს-ებში კომბაინებისა და სალეწების რემონტის საქმეს.

კომბაინების რემონტის ტემპის გაძლიერებასთან ერთად აუცილებელია მტკიცედ დავიცვათ ხარისხი, აღკვეთოთ წუნი, სასტიკი ბრძოლა გამოუცხადოთ თვითდამშვიდებას. უზრუნველობას კომბაინების, სალეწი და სხვა მანქანების მომზადების საქმეში.

ზოგიერთი სამეურნეო ორგანიზაცია არადამაკმაყოფილებლად ეხმარება მტს-ებს მუშაობაში. ვერ იჩენს ოპერატიულობას, რასაც ზიანი მოაქვს საქმისათვის. გორის, ახალქალაქისა და სხვა რაიონების მტს-ების მუშაკებს თბილისში უხდებათ ჩასვლა იმისათვის, რომ შეიძინონ ისეთი საჭირო მასალები და ნაწილები, როგორიც არის ბაბიტი, კარბიდი, კბილანები, კომბაინების საკისარები. საქართველოს სოფლმომარაგებამ (მმართველი ამხ. გ. იობაშვილი) დღემდე ვერ მოახერხა რემონტისათვის საჭირო ისეთი ნაწილების დროულად გადაგზავნა, რაც მათ საკმაოდ აქვთ. საქსოფლმომარაგების ხელმძღვანელმა მუშაკებმა სერიოზული დასკვნა უნდა გააკეთონ შექმნილი მდგომარეობიდან და მეტი პასუხისმგებლობა გამოიჩინონ დაკისრებული მოვალეობისადმი.

მოსავლის აღების დარგში წარმატებას კადრები წყვეტენ. უნდა გავზარდოთ მექანიზატორთა რიგები ისეთი ადამიანებით, რომლებსაც უნარი შესწევთ მიიღონ ტექნიკისაგან შესაძლებლობის მაქსიმუმი. „ტექნიკა რომ ავამოძრაოთ,—გვასწავლის დიდი სტალინი, — და ბოლომდე გამოვიყენოთ, საჭიროა ტექნიკას დაუფლებული ადამიანები, საჭიროა კადრები, რომელთაც შესწევთ უნარი აითვისონ და გამოიყენონ ეს ტექნიკა ხელოვნების მთელი ოსტატობით. ტექნიკა უადამიანებოდ, რომლებიც დაუფლებული არიან ტექნიკას, — მკვდარია. ტექნიკას იმ ადამიანების მეთაურობით, რომელნიც ტექნიკას დაეუფლნენ, შეუძლია და კიდეც უნდა მოახდინოს სასწაულები“.

ზოგიერთი მტს-ის დირექტორი მექანიზატორთა კადრების მოშზადების აშკარა შეუფასებლობას იჩენს. სხვა რით უნდა აიხსნას ის, რომ სტალინირის მტს-ის დირექტორმა ამხ. მოისწრაფიშვილმა კომბაინერთა მოსამზადებელ კურსებზე არც ერთი მსმენელი არ მიავლინა. ასეთი შემთხვევა სხვა მტს-ებშიც არის. რესპუბლიკაში ჩაშლის საფრთხის წინაშეა სალეწების მემანქანეთა კადრების მომზადება. ამ მემანქანეთა მოსამზადებელი კურსები დღემდე არ არის დაკომპლექტებული გეგმით გათვალისწინებული კონტინგენტით. არ შეიძლება შევიწყნაროთ შემარიგებლური დამოკიდებულება კადრების მომზადებისა და გადამზადების საქმისადმი. მშრომელთა დეპუტატების თბილისის საოლქო საბჭოს აღმასკომმა და საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტრომ ქმედითი ზომები უნდა მიიღონ ამ მდგომარეობის გამოსასწორებლად, მძლავრი სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის უნარიანი კადრებით უზრუნველსაყოფად.

გაზაფხულის ხშირი ნალექები ზოგან პურეულის ჩაწოლის საშიშროებას იწვევს. ჩვენი მტს-ების ტექნიკა უამინდობით გამოწვეულ სიძნელეთა დაძლევისა და პურეულის დანაკარგის თავიდან აცილების უდიდეს შესაძლებლობას იძლევა. პარტიის რაიონულმა კომიტეტებმა და რაისაბჭოების აღმასკომებმა ამთავითვე უნდა მიიღონ ზომები კომბაინების და მოსავლის ასაღები სხვა მანქანების მარცვალსაჭერებითა და ჩაწოლილი პურეულის ასაღები სპეციალური მოწყობილობით უზრუნველსაყოფად. აგრონომებმა, ინჟინერ-მექანიზატორებმა თავიანთი რჩევა-დარიგებით პრაქტიკული დახმარება უნდა გაუწიონ კოლმეურნეობებსა და მექანიზატორებს ჩაწოლილი პურეულის უდანაკარგოდ აღების საქმეში.

საჭიროა უახლოეს ხანში დამთავრდეს სამკელის, ძრავის, მარცვალსაწმენდი მანქანების, სასწორების, ავტომანქანებისა და სხვა სატრანსპორტო და ასაღები საშუალებების რემონტი და მომზადება.

განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს კოლმეურნეობებში გადახურული კალოების, ფარდულების, ძნის საშრობების, მარცვალსაშრობებისა და მარცვალსაცავების რემონტსა და პურის დამზადების ტექნიკური ბაზის სრულ წესრიგზე მოყვანას.

სოფლის კომუნისტებისა და კომკავშირელების ვალია სწრაფად გამოასწორონ ნაკლოვანებანი მოსავლის აღებისათვის მზადების საქმეში, უზრუნველყონ კომბაინების, სალეწი მანქანების რემონტის ვადაზე დამთავრება და მათი შეუფერხებელი მუშაობა.

ჩვენში არ უნდა იყოს არც ერთი ჩამორჩენილი კოლმეურნეობა, საბჭოთა მეურნეობა, მტს-ი მოსავლის აღებისათვის მზადების საქმეში, — ასეთია ამოცანა!

ბრძანებულება

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

საქართველოს სახელმწიფო კვარტეტის მონაწილეთათვის საქართველოს სსრ საპატიო წოდების მინიჭების შესახებ

კამერული მუსიკის განვითარების საქმეში თვალსაჩინო დამსახურებისათვის, აგრეთვე ნაყოფიერი საკონცერტო-შესრულებითი მოღვაწეობისათვის მიენიჭოთ საპატიო წოდება:

საქართველოს სსრ ხელოვნების დამსახურებული მოღვაწისა

ჭიაურელს ბორის ივანეს-ძეს — საქართველოს სახელმწიფო კვარტეტის ხელმძღვანელს.

საქართველოს სსრ დამსახურებული არტისტისა

1. **ბარნაბიშვილს** გიორგი კირილეს-ძეს — საქართველოს სახელმწიფო კვარტეტის არტისტს.
2. **ბეგალიშვილს** ალექსანდრე გრიგოლის-ძეს — საქართველოს სახელმწიფო კვარტეტის არტისტს.
3. **ხატიაშვილს** გივი ვლადიმერის-ძეს — საქართველოს სახელმწიფო კვარტეტის არტისტს.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე
ზ. ჩხუბიანიშვილი

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ვ. ეგნატაშვილი

ქ. თბილისი, 1952 წ. 20 მაისი.

მოსკოვი, კრემლი

ამხანაგ იოსებ ბესარიონის-ძე სტალინს

ძვირფასო ამხანაგო სტალინ!

ვლადიმერ ილიას-ძე ლენინის სახელობის პიონერთა ორგანიზაციის 30 წლისთავისადმი მიძღვნილი საზეიმო კრების მონაწილენი მხურვალე სიყვარულის, უსაზღვრო ერთგულებისა და დიდი მადლიერების სიტყვებით მოგმართავენ თქვენ, ჩვენო საყვარელო ბელადო და მასწავლებელო.

თქვენ, ძვირფასო ამხანაგო სტალინ, უნდა გიმადლოდეთ იმას, რომ ვცხოვრობთ და ვმუშაობთ სოციალიზმის ქვეყანაში, სადაც ნორჩი თაობა გარემოსილია კომუნისტური პარტიის, საბჭოთა სახელმწიფოს, მთელი ხალხის უდიდესი სიყვარულითა და ყურადღებით. არსად ისე არ ზრუნავენ ბავშვებისათვის, ბავშვთა აღზრდისა და განვითარებისათვის, როგორც ჩვენში, საბჭოთა კავშირში.

საბჭოთა ბავშვები იზრდებიან ჯანსაღნი და სიცოცხლით სავსენი, კულტურულნი და განათლებულნი. მსოფლიოში ყველაზე მოწინავე საბჭოთა სკოლა დაუცხრომლად მუშაობს პიონერთა და მოსწავლეთა აღზრდისა და განათლებისათვის. კომუნისტური პარტიის, საბჭოთა ხელისუფლების მიერ, თქვენ მიერ, ამხანაგო სტალინ, აღზრდილი სახალხო მასწავლებელთა არმია მთელ ძალღონესა და ცოდნას ახმარს კომუნიზმის მომავალ მშენებელთა მომზადების კეთილშობილურ საქმეს.

საბჭოთა სამშობლო უხვად აძლევს ნორჩ თაობას ყველაფერს, რაც საჭიროა მისი სულიერი ძალების, ნიჭისა და ტალანტის ყოველმხრივ გაფურჩქვნისათვის. ბავშვების განკარგულებაშია პიონერთა სასახლეები და სახლები, პიონერთა ბანაკები, სტადიონები, სასპორტო მოედნები, ბიბლიოთეკები, საბავშვო თეატრები; მილიონიანი ტირაჟებით გამოდის ჩვენში საბავშვო წიგნები, ჟურნალები და გაზეთები.

კომუნისტურმა პარტიამ, დიდმა ლენინმა, თქვენ, ამხანაგო სტალინ, დაარწმუნეთ ჩვენი ქვეყნის ბავშვთა კომუნისტური მოძრაობის აკვანი, ბოლშევიკური პარტიის ხელმძღვანელობით, თქვენი ხელმძღვანელობით, ამხანაგო სტალინ, გაიზარდა და განმტკიცდა საბჭოთა კავშირის ნორჩ პიონერთა ორგანიზაცია. ამჟამად იგი თავის რიგებში აერთიანებს 19 მილიონზე მეტ ნორჩ ლენინელს, რომლებიც მუდამ მზად არიან იბრძოლონ ლენინ-სტალინის დიადი საქმისათვის.

ძვირფასო ამხანაგო სტალინ! თვითეული ჩვენგანი უდიდეს სიხარულს განიცდის იმის გამო, რომ თქვენგან მივიღეთ მისალმება საბჭოთა კავშირის ნორჩი პიონერებისადმი. საზეიმოდ გაძლევთ პირობას, ძვირფასო ამხანაგო სტალინ, დაუცხრომლად ვიმოშაოთ, რათა შევასრულოთ თქვენი მითითება იმის შესახებ, რომ პიონერები და მოსწავლეები აღიზარდონ ერთგულ ლენინელებად, ჩვენი დიდი სამშობლოს თავდადებულ შვილებად.

გისურვებთ, ჩვენო საყვარელო ბელადო და მასწავლებელო, მრავალ წელს ჯანმრთელად ყოფნას ჩვენი საყვარელი საბჭოთა სამშობლოს საკეთილდღეოდ.

გაუმარჯოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების დიდ კავშირს — ჩვენი ქვეყნის ხალხთა მეგობრობისა და დიდების ციხე-სიმაგრეს, მთელი მსოფლიოს მშვიდობის ურყევ ბურჯს.

გაუმარჯოს კომუნისტთა დიად პარტიას — ლენინ-სტალინის პარტიას, საბჭოთა ხალხის ბრძოლებში გამოწრთობილ ავანგარდს, ჩვენი გამარჯვებების სულისჩამდგმელსა და ორგანიზატორს!

გაუმარჯოს ხალხთა დიდ ბელადს, საბჭოთა ახალგაზრდობის მასწავლებელსა და მეგობარს — ძვირფას და საყვარელ ამხანაგ სტალინს!

ვ. ი. ლენინის სახელობის პიონერთა ორგანიზაციის ოცდაათი წლისთავი

საზეიმო კრება სსრ კავშირის დიდ თეატრში

1952 წლის 19 მაისი ვ. ი. ლენინის სახელობის პიონერთა ორგანიზაციის იუბილეს დღეა, მისი ოცდაათი წლისთავის დღეა.

დიდი თეატრის სცენა სადღესასწაულოდ არის მორთული. მის სიღრმეშია ვ. ი. ლენინისა და ი. ბ. სტალინის დიდი ბარელიეფური პორტრეტი. კაკაშა ელექტრონათურებით გამოყვანილია პიონერთა დევიზი: „იყავ მზად ლენინ-სტალინის საქმისათვის სამრეველად!“. ქვემოთ მოჩანს ცოცხალ ყვავილებში ჩასმული პიონერული ნიშნის მაკეტი, მარჯვნივ და მარცხნივ—თარიღები „1922“ და „1952“.

საზეიმო კრების დაწყებამდე დიდი ხნით ადრე პარტერი და ლოჟები აივსო პიონერებით, კომკავშირელებით, მასწავლებლებით, პიონერხელმძღვანელებით, პარტიული და კომკავშირული მუშაკებით, მოსკოვის საწარმოთა სტახანოველებით.

საღამოს 7 საათია. საკავშირო აღკკ მოსკოვის კომიტეტის მდივანი ა. ა. რაპოხინი კომკავშირული აქტივის საზეიმო კრებას გახსნილად აცხადებს.

დამსწრენი მქუხარე, ხანგრძლივი ტაშით ხვდებიან წინადადებას, რომ საპატიო პრეზიდიუმში არჩეულ იქნას საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს ამხანაგ ი. ბ. სტალინის მეთაურობით. ყველანი ფეხზე დგებიან. დარბაზში რამდენიმე წუთს გრძელდება ოვაცია ბოლშევიკების ბრძენი პარტიის, საბჭოთა ხალხის გამარჯვებათა სულისჩამდგმელისა და ორგანიზატორის დიდი სტალინის პატივსაცემად.

კრების თავმჯდომარე აქვეყნებს ამხანაგ ი. ბ. სტალინის მისალმებას საბჭოთა კავშირის ნორჩი პიონერებისადმი პიონერთა ორგანიზაციის ოცდამეათე წლისთავთან დაკავშირებით. ხალხით სავსე თეატრი სიხარულმა მოიცვა. კრების მონაწილეებმა უდიდესი ყურადღებით მოისმინეს დიდი ბელადის მისალმება ნორჩი ლენინელებისადმი. ყველანი ფეხზე დგებიან, დარბაზში ქუხს ოვაცია. იგი სულ უფრო ძლიერდება, ახალი და ახალი ძალით გრიალებს. გაისმის შეძახილები: „ჩვენს საყვარელ ამხანაგ სტალინს ვაშა!“, „ლენინ-სტალინის პარტიას ვაშა!“. რამდენიმე წუთს გრძელდება ოვაცია საბჭოთა ახალგაზრდობის საუკეთესო მეგობრის ამხანაგ სტალინის პატივსაცემად.

ვ. ი. ლენინის სახელობის პიონერთა ორგანიზაციის 30 წლისთავის შესახებ მოხსენებისათვის სიტყვა ეძლევა საკავშირო აღკკ ცენტრალური კომიტეტის მდივანს ნ. ა. მიხაილოვს.

მომხსენებელი აღნიშნავს, რომ სახელოვანი ოცდაათი წლისთავი ეწყობა ბავშვთა კომუნისტური აღზრდისათვის პიონერთა ორგანიზაციის მუშაობის გაძლიერების ნიშნით. უმჯობესდება პიონერთა რაზმებისა და რაზმეულების მუშაობა, ისინი სულ უფრო ქმედითს დახმარებას უწევენ სკოლას საფუძვლიანი და მკვიდრი ცოდნისათვის, მოსწავლეთა დისციპლინის განმტკიცებისათვის ბრძოლაში, პიონერები აქტიურად ებმებიან საზოგადოებრივ ცხოვრებაში.

ამხ. მიხაილოვი დამსწრეთ უამბობს პიონერთა ორგანიზაციის ისტორიას, ორგანიზაციისა, რომელიც ბოლშევიკური პარტიისა და კომკავშირის ხელმძღვანელობით განმტკიცდა, გაიზარდა. ამჟამად პიონერთა ორგანიზაციის რიგებშია 19 მილიონზე მეტი ნორჩი ლენინელ-სტალინელი. ჩვენი სახელმწიფო ყველა პირობას ქმნის ნორჩი საბჭოთა მოქალაქეების ბედნიერი ბავშვობისა და სწავლისათვის. ჩვენი დიდი სოციალისტური სამშობლოს ბავშვები მტკიცე რწმენით შეჰყურებენ მომავალს.

სულ სხვაა კაპიტალისტური, კოლონიური და დამოკიდებული ქვეყნების ბავშვთა ცხოვრება. მომხსენებელს მოჰყავს ფაქტები, რომლებიც ახასიათებენ ბავშვების ძმიმე ხვედრს კაპიტალის ქვეყნებში. ამერიკის შეერთებული შტატების მმართველებს თავი მოაქვთ თავიანთი ქვეყნის მაღალი კულტურით, ბაშინ როცა ამერიკაში წლითიწლობით სულ უფრო მეტი ბავშვი ვერ დადის სკოლაში. ამერიკის შეერთებულ შტატებში სასკოლო ასაკის 6 მილიონი ბავშვი არ სწავლობს. მთავრობა ყოველწლიურად უდიდეს თანხებს ხარჯავს სამხედრო მიზნებისათვის და ბიუჯეტის ჭოლოდ 0,1 პროცენტს—სახალხო განათლებისათვის.

კიდევ უფრო ტრაგიკულია ბავშვთა ბედი კოლონიურ და დამოკიდებულ ქვეყნებში.

როგორც დღე ღამისაგან, ისე განსხვავდება ჩვენი ბავშვების ცხოვრება კაპიტალისტური ქვეყნების ნორჩი თაობის ცხოვრებისაგან. საბჭოთა კავშირში შემოღებულია საყოველთაო სავალდებულო შვიდწლიანი სწავლება. მიმდინარე წელს სკოლების საჭიროებისათვის გაღებულია 60 მილიარდი მანეთი. 200 ათასზე მეტ სკოლაში 37 მილიონი მოსწავლეა, ე. ი. ხუთჯერ მეტი, ვიდრე რევოლუციამდელ რუსეთში. მრავალი სკოლისგარეშე დაწესებულება ეხმარება ბავშვებს დაეუფლონ ცოდნას, მეცნიერებას, კულტურას, ევითარებს მათ ნიჭსა და ტალანტს. საბჭოთა კავშირში არის 1.269 პიონერთა სახლი და სასახლე, 231 ნორჩ ნატურალისტთა სადგური, 412 ნორჩ ტექნიკოსთა სადგური, 126 საბავშვო პარკი და სტადიონი, 99 საბავშვო და თოჯინების თეატრი, 20 საბავშვო რკინიგზა. მილიონობით ბავშვი დადის ამ სკოლისგარეშე დაწესებულებებში.

ჩვენს ქვეყანაში გამოდის 40 საბავშვო გაზეთი და ჟურნალი, რომელთა საერთო ტირაჟი 4 მილიონ ცალს აღემატება. მარტო განვლილ წელს ბავშვებისათვის გამოიცა 1.882 სახელწოდების წიგნი, რომელთა ტირაჟი თითქმის 82 მილიონ ცალს შეადგენს.

საბჭოთა ბავშვები მხიარულად და საინტერესოდ ატარებენ საზაფხულო დასვენებას. მათ განკარგულებაშია პიონერთა ბანაკები, სასპორტო ნაგებობანი, სკოლების სასპორტო მოედნები, ბავშვთა და ჭაბუკთა სასპორტო სკოლები. ბავშვები აწყობენ ტურისტულ ლაშქრობებს და ეცნობიან ჩვენს შესანიშნავ სამშობლოს.

ამხ. მიხაილოვი ეხება პიონერთა მთავარ ამოცანას — გულმოდგინედ და ბეჯითად ისწავლონ, წარმატებით დაეუფლონ ცოდნას, რათა კომუნიზმის ღირსეული მშენებლები გახდნენ. იგი ლაპარაკობს კომკავშირის როლზე პიონერთა ორგანიზაციის ხელმძღვანელობაში, იმაზე, რომ კომკავშირმა მეტი ყურადღება უნდა მიაქციოს პიონერთა ცხოვრებას, სწავლას, მათს შრომასა და საზოგადოებრივ მუშაობას.

პიონერები და მოსწავლეები დიდ მადლობას უძღვნიან კომუნისტურ პარტიას, ამხანაგ ი. ბ. სტალინს ბედნიერი ბავშვობისათვის, ყველაფრისთვის, რაც მათ ჩვენმა ქვეყანამ მისცა. დიდი ბელადისაკენ მიპყრობილია ნორჩ პიონერთა საუკეთესო აზრები და გრძნობები. ჩვენი ქვეყნის თვითეული ჭაბუკისა და ქალიშვილის, თვითეული პიონერის სანუკვარი ოცნებაა იყოს ისეთი, როგორიც იყო ლენინი, როგორიც არის სტალინი.

მხურვალე სიყვარულისა და მადლობის წერილად მიმართეს საზეიმო კრების მონაწილეებმა ამხანაგ ი. ბ. სტალინს. მათ უდიდესი სიხარული გამოთქვეს იმის გამო, რომ ბელადი მიესალმა საბჭოთა კავშირის ნორჩ პიონერებსა და მოსწავლეებს, საზეიმო პირობა დადეს წმიდად შეასრულონ დიდი სტალინის მითითებანი.

დარბაზში იწყება და რამდენიმე წუთს გრძელდება ოვაცია ბავშვთა საუკეთესო მეგობრის ამხანაგ სტალინის პატივსაცემად.

* * *

კრების დამთავრების შემდეგ გაიმართა დიდი კონცერტი. (საკდესი).

ბრძანებულება

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

პროფესორ ე. მ. გუზიკოვისათვის საქართველოს სსრ ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის წოდების მინიჭების შესახებ

საქართველოს სახელმწიფო კვარტეტის მონაწილეთა პროფესიული ოსტატობის ამაღლების სისტემატური ხელმძღვანელობისათვის, აგრეთვე თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიისათვის ხანგრძლივი შემოქმედებითი დახმარების გაწევის გამო მიენიჭოს საქართველოს სსრ ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის წოდება მოსკოვის სახელმწიფო კონსერვატორიის პროფესორს ევგენი მიხეილის-ძე **გუზიკოვს.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ზ. ჩხუბიანიშვილი
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ვ. ეგნატაშვილი

ქ. თბილისი, 1952 წ. 19 მაისი.

ამუშავების წინაღდეგები ციმღიანსკაიას ჰიდროკვანძზე

მუშათა დაგა ციმლიანსკი, 19 მაისი. (საკდესი). სულ რამდენიმე დღე დარჩა იმ მომენტამდე, როცა ციმლიანსკაიას ჰიდროკვანძი მწყობრში უნდა ჩადგეს. ამ მოვლენის მოახლოება იგრძნობა მშენებლობის ყოველ უბანზე.

შეჯიბრებაში დიდი გამარჯვება მოიპოვეს მემონტაჟეებმა, რომლებმაც სახელმწიფო კომისიისათვის გადასაცემად მოამზადეს ჰიდროელექტროსადგურის პირველი აგრეგატი. მზად არის გიგანტური კაშხალი, რომელშიც ჩასხმულია ერთ მილიონზე მეტი კუბური მეტრი ბეტონი და ჩაყრილია ათეული მილიონობით კუბური მეტრი ქვიშა. წარმოებს კაშხალის საბოლოო მოპირკეთება არქიტექტურული დეტალებით. ბურჯებზე ეწყობა ბორდიურის ქვები, კაშხალის გაყოლებით — პარაპეტები.

უკანასკნელი სამუშაოები წარმოებს თევზსავალზე. აქ საპროექტო ნიშნამდე აღმართულია ქვედა და ზედა პირსები, მთავრდება მექანიზმთა შენობის აგურის წყობა.

სწრაფი ტემპით მიმდინარეობს ჰიდროელექტროსადგურის შენობების საბოლოო მოპირკეთება. მეტლახის ფილებს აგებენ იატაკებზე, ზეთის საღებავს უსვამენ კედლებს, მოჭიქული ფილებით რთავენ პანელებს. ყველაფერი ლამაზად, მტკიცედ კეთდება.

— დაე საუკუნეობით იდგეს სტალინური ეპოქის დიადი ნაგებობა!—ამბობენ მშენებლები.

საბაგირო გზა ვოლგაზე

კუიბიშევი, 19 მაისი. (საკდესი). დაწყო საჰაერო საბაგირო გზის აგება ვოლგაზე კუიბიშევის ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობის რაიონში.

№ 1001 მიწისმწოვი მანქანა შეუდგა ყველაზე მაღალი ბურჯის ფუძის ამოვსებას, რაც გაამაგრებს საჰაერო გზას მდინარის შუა ადგილას. ჰიდრომექანიზაციის საშუალებით ბურჯის ფუძეში იყრება 60 ათასი კუბური მეტრი გრუნტი. შემდეგ აქ აშენდება ბეტონის მტკიცე საძირკველი და ამ საძირკველზე დადგმული 56 მეტრი სიმაღლის ლითონის ანძები. ბურჯის საერთო სიმაღლე 92 მეტრს მაღწევს, ვოლგაზე გაჭიმული ლითონის ბაგირები და ამ ბაგირებზე მოძრავი ვაგონეტები ხელს არ შეუშლის ნაოსნობას.

საბაგირო გზა გამოყენებულ იქნება ქვის, ლორღის, ქვიშისა და სხვა საშენი მასალების გადასაზიდავად.

წარმოების მართვა რადიოთი

სტალინო, 19 მაისი. (საკდესი). თითქმის 250 კილომეტრია მეტალურგიული ქარხნის „აზოვსტალის“ რკინიგზის ლიანდაგების სიგრძე. უკანასკნელ ხანამდე საწარმოს რთულ სატრანსპორტო მეურნეობას ტელეფონით მართავდნენ. ახლა ქარხნის ბევრ ორთქლმავალს გაკეთებული აქვს პორტატიული რადიო-სადგური, რომლის საშუალებითაც მემანქანეს ყოველ წუთს შეუძლია დაუკავშირდეს დისპეტჩერს და მიიღოს საჭირო განკარგულებანი.

მაკეევკის კიროვის სახელობის ქარხანაში, საქარხნო ტრანსპორტს გარდა, რადიოფიცირებულია აგრეთვე ერთ-ერთი მარტენის საამქრო. ამვრისიევკის მეცეშენტეებს რადიოკავშირი აქვთ 10-15 კილომეტრ რადიუსში მდებარე მრავალ კარიერთან.

დონბასელი მაღაროელები მეცნიერებთან ერთად წარმატებით მუშაობენ იმისათვის, რომ რადიო მიწის ქვეშ იქნას გამოყენებული. დონეცის ქვანახშირის ინსტიტუტის პროექტით კრასნოარმეისკის ქვანახშირის ტრესტის დიმიტროვის სახელობის № 5-6 შახტში დადგმულია ორმხრივი კავშირგაბმულობის პორტატიული რადიოსადგურები ელმავლებზე, რომლებითაც ქვანახშირი გამოაქვთ ლავებიდან ჭაურამდე. რადიოს საშუალებით მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა შახტის მიწისქვეშა ტრანსპორტის მუშაობა: ბევრად შემცირდა ელმავალთა მოცდენა. გადიდდა მიწისქვეშა მაგისტრალებზე მათი მიმოსვლის სისწრაფე. ახლა ერთ-ერთ რადიოქარხანაში სტალინოს და არჩევოვსკის ქვანახშირის კომბინატების შახტებისათვის ათობით ასეთი რადიოსადგური კეთდება.

პირველი მარცვლეული სახელმწიფოს

იავანი (ტაჯიკეთის სსრ), 16 მაისი. (საკდესი). რაიონის კოლმეურნეობები წარმატებით იღებენ მარცვლეული კულტურების მოსავალს. ამავე დროს მიმდინარეობს მარცვლეულის ლეწვა.

დღეს შვერნიკის სახელობის და კაგანოვიჩის სახელობის კოლმეურნეობებმა ახალი მოსავლის პირველი რამდენიმე ათეული ცენტნერი ქერი ჩააბარეს დამამზადებელ პუნქტს.

მაღალი იდეურობისათვის გამომცემლობათა მუშაობაში!

ჩვენს ქვეყანაში საგამომცემლო საქმის გიგანტური გაქანება იმის მაჩვენებელია, თუ როგორ ზრუნავენ კომუნისტური პარტია და საბჭოთა მთავრობა ხალხის სულიერ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებისათვის. იმ წიგნების საერთო ტირაჟი, რომლებიც საბჭოთა კავშირში ყოველწლიურად გამოდის, თითქმის ერთიანთად აღემატება ლიტერატურის რაოდენობას, რომელიც რევოლუციამდელ რუსეთში გამოდიოდა.

საბჭოთა წიგნი უნდა იყოს მაღალიდეური, შინაარსიანი, ლიტერატურული ფორმისა და გამოცემის კულტურის მხრივ სრულყოფილი. ჩვენში ხალხის მოწონებას იმსახურებენ ის ნაწარმოებნი, რომლებიც აქტიურად უწყობენ ხელს ახალს, მოწინავეს, ამხილებენ უარყოფით მოვლენებს, ყალბ ადამიანებს, ისეთი ნაწარმოებნი, რომლებიც ეხმარებიან პარტიას მშრომელთა კომუნისტური აღზრდის საქმეში.

ბოლშევიკური ბეჭდვითი სიტყვის ყველა მუშაკისათვის მოქმედების საბრძოლო პროგრამას წარმოადგენენ საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის დადგენილებანი, ამხანაგ სტალინის მითითებანი იდეოლოგიურ საკითხებზე. გამომცემლობათა, ისევე როგორც მთელი ჩვენი ბეჭდვითი სიტყვის, მუშაკები მოწოდებული არიან იხელმძღვანელონ იმით, რაც შეადგენს საბჭოთა წყობილების სასიცოცხლო საფუძველს, — მისი პოლიტიკით. ჩვენი წიგნები უნდა ავრცელებდნენ საბჭოთა პატრიოტიზმის, ხალხთა მეგობრობის იდეებს, ასახავდნენ საბჭოთა საზოგადოების მორალურ-პოლიტიკურ ერთიანობას.

„საბჭოთა ლიტერატურის ძალა, მსოფლიოში ყველაზე მოწინავე ლიტერატურის ძალა, — ნათქვამია საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის დადგენილებაში ჟურნალების „ვეზდისა“ და „ლენინგრადის“ შესახებ, — **ის არის რომ იგი ისეთი ლიტერატურაა, რომელსაც არა აქვს და არც შეიძლება ჰქონდეს სხვა ინტერესები, გარდა ხალხის ინტერესებისა, სახელმწიფოს ინტერესებისა. საბჭოთა ლიტერატურის ამოცანა ის არის, რომ ეხმარებოდეს სახელმწიფოს ახალგაზრდობის სწორად აღზრდაში, უპასუხებდეს ახალგაზრდობის საჭიროებებს, ზრდიდეს მხნე, თავის საქმეში დარწმუნებულ ახალ თაობას, რომელსაც არ ეშინია დაბრკოლებებისა და მზად არის გადალახოს ყოველი დაბრკოლება“.**

კარგი წიგნების გამოშვება უპირველესი ამოცანაა, რომელიც დასახულია ყველა საბჭოთა გამომცემლობის წინაშე. ყოველი გამომცემლობის მუშაობის წარმატებას წყვეტს მაღალი მომთხოვნელობა, თვითეული წიგნის, თვითეული ლიტერატურული ნაწარმოების მომზადებისადმი ყოველდღიური ზრუნვა მათი იდეური, მეცნიერული და მხატვრული დონის ამაღლებისათვის.

პარტიის მითითებათა შესრულებით ბევრმა ჩვენმა გამომცემლობამ ერთგვარ წარმატებებს მიაღწია თავის მუშაობაში. ამასთან ერთად ფაქტები მოწმობენ, რომ ცალკეულ გამომცემლობათა მუშაობაში ჯერ კიდევ არის სერიოზული შეცდომები და ნაკლოვანებანი. მაგალითად, არადამაკმაყოფილებლად მუშაობს იურიდიული ლიტერატურის სახელმწიფო გამომცემლობა. მის მიერ გამოცემული ლიტერატურა არ შეესაბამება საბჭოთა სამართლის მეცნიერების მოთხოვნებს, ჩამორჩება მუშაკთა პრაქტიკულ საჭიროებებს. ამ გამომცემლობის მიერ გამოშვებული ბევრი წიგნი, როგორც უკვე აღნიშნული იყო პარტიულ პრესაში, სერიოზულ იდეოლოგიურ შეცდომებს შეიცავს, ხოლო ზოგიერთი მათგანი პოლიტიკურად მავნეა. გამომცემლობა მომთხოვნელობას არ იჩენს ავტორების შერჩევაში, წიგნების შესაქმნელად იწვევს ისეთ ადამიანებს, რომლებსაც უნარი არ შესწევთ სწორად გადაწყვიტონ დასახული პრობლემები, არა აქვთ საჭირო ცოდნა.

გამომცემლობის ხელმძღვანელთა უდარდელობის შედეგად სახალხო დემოკრატიის ქვეყნების სახელმწიფო წყობილების შესახებ წიგნების მომზადება მონოპოლიად ჰქონდა პიროვნებათა ვიწრო ჯგუფს, რომელნიც არაასწორ დებულებებს აპარებდნენ. გამომცემლობის მუშაობის სერიოზული შეცდომები უწინარეს ყოვლისა იმით აიხსნება, რომ აქ სწორად არ იყო მოწყობილი სარედაქციო მუშაობა, არ იყო კრიტიკა და თვითკრიტიკა, იქმნებოდა განცხრომისა და თვითკმაყოფილების ვითარება.

ამ უკანასკნელ დროს ზოგიერთმა გამომცემლობამ შეასუსტა მომთხოვნელობა მხატვრული ლიტერატურის რუსი და უცხოელი კლასიკოსების ნაწარმოებთა დასაბეჭდად მომზადებისა და რედაქტირების ხარისხისადმი. საბჭოთა მკითხველს სურს მიიღოს კლასიკოსებისა და საბჭოთა მწერლების ნაწარმოებთა საუკეთესო გამოცემანი. ეს ავალებს გამოსაცემ თხზულებათა შემდგენლებსა და რედაქტორებს გულდასმით და ფრთხილად მოეპყრონ გამოსაქვეყნებელ ტექსტებს. სამწუხაროდ, მთელ რიგ გამომცემლობათა ხელმძღვანელები ივიწყებენ თავიანთ პასუხისმგებლობას მკითხველის წინაშე. ლიტერატურულ ნაწარმოებთა მომზადებას გამოსაქვეყნებლად ხშირად ავალებენ არაკომპეტენტურ და არაკეთილსინდისიერ ადამიანებს.

ტექსტებში უხეშ შეცდომებსა და დამახინჯებებს უშვებდნენ ზოგიერთი ლიტერატურული ნაწარმოების ხელახალი გამოცემის დროს. მაგალითად, დემიან ბედნის ნაწარმოებთა კრებულების შედგენისა და რედაქტირებისას, რომლებიც მხატვრული ლიტერატურის სახელმწიფო გამომცემლობამ და სამხედრო გამომცემლობამ გამოუშვეს, პოეტის ტექსტების მიმართ დაშვებული იყო თვითნებობა, რის შედეგადაც ბევრი მისი ლექსი დაიბეჭდა დამახინჯებით, რაც ზოგიერთ შემთხვევაში პოეტის ტექსტების ლიბერალურ-ბურჟუაზიულ ფალსიფიკაციამდე მიდიოდა. კრებულების შემდგენელი ვ. რეგინინი მინდობილ სამუშაოს არაკეთილსინდისიერად მოეკიდა: კრებულში შეიტანა ნაწარმოებთა არა უკანასკნელი, არამედ უფრო ადრინდელი, თვითონ პოეტის მიერ დაწუნებული ვარიანტები, ანგარიში არ გაუწია იმას, რომ დ. ბედნი აუმჯობესებდა თავის ნაწარმოებებს, ხოლო მთელ რიგ შემთხვევებში შესწორებანი შეჰქონდა პარტიული კრიტიკის გავლენით. მხატვრული ლიტერატურის სახელმწიფო გამომცემლობისა და სამხედრო გამომცემლობის ხელმძღვანელები უპასუხისმგებლოდ მოეკიდნენ დ. ბედნის ნაწარმოებთა ტექსტების მომზადებას დასაბეჭდად, მთლიანად გადააკისრეს ეს საქმე ტექსტოლოგიაში უვიც, პოლიტიკურად უდარდელ და არაკეთილსინდისიერ შემდგენლებსა და რედაქტორებს.

წიგნების გამოცემაში დაუდევრობა, უპასუხისმგებლობა არ შეიძლება სხვანაირად შევაფასოთ, თუ არ როგორც მკითხველისადმი უპატივცემლობა, მისი ინტერესების უგულებელყოფა. ჩვენი გამომცემლობების ყველა მუშაკის წინაშე დგას პირველხარისხოვანი ამოცანა — ბოლშევიკურად იბრძოლონ გამოსაქვეყნებელ ნაწარმოებთა მაღალი იდეური, მეცნიერული და მხატვრული დონისათვის. მკითხველთა ინტერესები მოითხოვს, რომ ნაწარმოებთა ხელახალი გამოცემისას უზრუნველყოფილ იქნას ტექსტების გულმოდგინე მეცნიერული მომზადება.

საქმის წარმატება დამოკიდებულია ადამიანებზე, კადრებზე. გამომცემლობათა ხელმძღვანელები მოვალენი არიან ჯეროვანი წესრიგი დაამყარონ ავტორებთან მუშაობაში, წიგნების შექმნაში ჩააბან კვალიფიციური სპეციალისტები, მოაგვარონ გამოსაცემად მომზადებულ ხელნაწერთა შემოქმედებითი განხილვა, საქმიანი კრიტიკა.

დიდმნიშვნელოვანი პირობა, რომელიც უზრუნველყოფს ხელნაწერთა კარგი ხარისხით რედაქტირებას, ის არის, რომ გამომცემლობანი განვამტკიცოთ სარედაქციო-საგამომცემლო მუშაკთა კვალიფიციური და შემოწმებული კადრებით, ავამაღლოთ მათი კვალიფიკაცია, გავაუმჯობესოთ აღმზრდელობითი მუშაობა კადრებთან. ამ მხრივ სერიოზული საყვედურის ღირსია პოლიგრაფიული მრეწველობის, გამომცემლობათა და წიგნის ვაჭრობის მთავარი სამმართველო, რომელმაც ვერ უზრუნველყო კონტროლი გამოსაქვეყნებელი ლიტერატურის ხარისხისადმი, გამომცემლობათა მუშაობის გაუმჯობესებისადმი, გულგრილად ეკიდება რედაქტორთა პოლიტიკური და სპეციალური ცოდნის ამაღლების საკითხებს.

გამომცემლობათა საქმიანობა იდეოლოგიური მუშაობის დიდმნიშვნელოვანი ნაწილია. ადგილობრივი პარტიული ორგანოები მუდამ უნდა ადევნებდნენ თვალყურს გამომცემლობათა მუშაობას, ზრუნავდნენ გამოსაშვები ლიტერატურის ხარისხის გაუმჯობესებისათვის. მაგრამ უნდა ითქვას, რომ ზოგიერთი პარტიული კომიტეტი საჭირო ყურადღებას არ აქცევს ამ საქმეს. მაგალითად, ჩკალოვისა და ჩიტის გამომცემლობებმა გამოუშვეს მწერალ მ. ი. მიხაილოვის თხზულებანი, რომლებშიც შემდგენელმა პ. ფატეევმა უხეში შეცდომები დაუშვა. მაგრამ საკავშირო კ. პ. (ბ) ჩიტისა და ჩკალოვის საოლქო კომიტეტებმა ყურადღება არ მიაქციეს გამომცემლობათა ამ შეცდომებს.

პარტიული ორგანიზაციები მოვალენი არიან გააუმჯობესონ ადგილობრივ გამომცემლობათა მუშაობის ხელმძღვანელობა, ღრმად ჩასწვდნენ მათი მუშაობის შინაარსს, მტკიცედ ადევნონ თვალყური გამოსაქვეყნებელი წიგნების იდეოლოგიურ სიმტკიცეს.

ჩვენს გამომცემლობებს უაღრესად ხელსაყრელი შესაძლებლობანი აქვთ იმისათვის, რომ ღირსეულად შეასრულონ მათ წინაშე დასახული სერიოზული და პასუხსაგები ამოცანები. საბჭოთა გამომცემლობების მუშაკთა მოვალეობაა უფრო სრულად დააკმაყოფილონ ხალხის მზარდი მოთხოვნილება, ყოველი ღონისძიებით აამაღლონ გამოსაცემი ლიტერატურის იდეური დონე, შეიტანონ მასებში ლენინ-სტალინის პარტიის დიადი იდეები, პროპაგანდა გაუწიონ ჩვენი სამშობლოს მიერ კომუნიზმისათვის ბრძოლაში მოპოვებულ მიღწევებს.

„პრავდის“ 20-V მოწინავე

სურათზე: ქობულეთის რაიონის კალინინის სახელობის კოლმეურნეობის წევრი, სოციალისტური შრომის გმირი სანთუარა ზოიძე (მარცხნივ) და მისი და მერიე კრეფენ ჩაის ფოთოლს.

ფოტო ვ. ბაბაიანისა

ჩაის კრეფის სეზონს მოუმზადებელი შეხვდნენ

წელს ზუგდიდის რაიონის მეჩაიეებმა ვალდებულება იკისრეს სახელმწიფოს გეგმის გადამეტებით ჩააბარონ 5 ათასი ტონა ჩაი. მიუხედავად ამ სერიოზული ამოცანისა, ზოგ კოლმეურნეობაში საქმეს ფორმალურად მოეკიდნენ, თვითდამშვიდებასა და უდარდელობას მიეცნენ.

სოფელ რუხის ბერიას სახელობის კოლმეურნეობაში (თავმჯდომარე რ. ფანთია) შრომა მოუწესრიგებელია და პლანტაციების მოვლა-დამუშავებას ყურადღება არ ექცევა. მეთერთმეტე ბრიგადაში, რომელსაც პ. ჯანაშია ხელმძღვანელობს, 14 ჰექტარი ჩაის პლანტაცია ბარდით არის დაფარული. ცუდად არის დამუშავებული დარჩენილი 10 ჰექტარი პლანტაციაც. ნაწილი პლანტაციებისა გასხლული არ არის. ბრიგადას 2 ჰექტარამდე ისეთი პლანტაციაც აქვს, რომელიც უკანასკნელი 6-7 წლის მანძილზე არ დაუმუშავებიათ.

ამის მიზეზი ის არის, რომ ბრიგადაში შრომისუნარიან კოლმეურნეთა მხოლოდ უმნიშვნელო ნაწილი გამოდის სამუშაოზე. დამახასიათებელია, რომ წელს ამ ბრიგადის მეორე რგოლში შემავალ კოლმეურნეებს გამომუშავებული არა აქვთ არც ერთი შრომადღე.

უარესი მდგომარეობაა მეთორმეტე ბრიგადაში. საკოლმეურნეო შრომაში მონაწილეობას არ იღებენ კოლმეურნეები ჰ. გელენიძე, ა. შამუგია, ი. ყოლბაია, ვ. ქარდავა, სულ 33 კოლმეურნე. ამ მიზეზით პლანტაციების ნაწილი გაუსხვლელი დარჩა, ხოლო ზოგან ბუჩქი ვეგეტაციის დაწყების შემდეგ გასხლეს, რამაც დააგვიანა ჩაის ფოთლის საკრეფად შემოსვლა.

კოლმეურნეობაში ჩაი საკრეფად მაისის პირველ დღეებში მოვიდა. ამჟამად სრული შესაძლებლობა აქვთ დღეში 7-8 ტონა მოკრიფონ, კრეფენ მხოლოდ 2 ტონამდე. აბასთუმნის ბერიას სახელობის კოლმეურნეობაში კალათები არ ჰყოფნით, მკრეფავები ნაკლებად გამოდიან სამუშაოზე, კრეფის წესები ირღვევა, ფოთოლი უხეშდება.

სოფელ ჭითაწყარის კოლმეურნეობა „ლენინის გზაში“ დაარღვიეს პლანტაციების გაფხვიერების წესი, დასჯერდნენ ტრაქტორით გამოხვნას, ბევრგან საკრეფი ფოთოლი საძებარია გვიმრასა და ეკალბარდაში. კრეფა ნელი ტემპით მიმდინარეობს, არის დანაკარგები.

სეზონს მოუმზადებლად შეხვდა ორჯონიკიძის სახელობის ჩაის ფაბრიკა. იგი 1 მაისისათვის მზად უნდა ყოფილიყო, მაგრამ მისი მშენებლობა გაჭიანურდა.

რაიონის პარტიულმა და საბჭოთა ხელმძღვანელმა ორგანოებმა სასწრაფო ზომები უნდა მიიღონ ჩაის კრეფაში ჩამორჩენის გამოსასწორებლად.

ვ. მესხია

„კომუნისტის“ საკუთარი კორესპონდენტი

ბორჯომის საჯაყეო მეურნეობის წარმატება

ბორჯომი. (საკ. კორ.). ბორჯომის სატყეო მეურნეობის კოლექტივმა (დირექტორი ტ. წერეთელი) გადაჭარბებით შეასრულა მიმდინარე წლის ოთხი თვის საწარმოო დავალება. 1 მაისისათვის ტყის გაშენების ოთხი თვის გეგმა შესრულებულია 100 პროცენტით, ტყის კულტურების თესლის დამზადების—138, ნიადაგის მომზადებისა და თესვისა—100, ხე-ტყის დამზადებისა—177, წიწვიანი ჯიშის სამასალე ხე-ტყის გამოზიდვისა — 143, შეშის დამზადებისა—126, კვალსათბურების ჩარჩოების დამზადებისა — 100 პროცენტით.

საწარმოო დავალებათა შესრულებაში დაწინაურდნენ რველის, ჭობისხევისა და ბორჯომის სატყეო მეურნეობები, რომლებსაც ა. ლომთათიძე, ნ. გოგოლაძე და კ. მელაშვილი ხელმძღვანელობენ.

რაჭვომ ჩამორჩა გორის მშენებლობა და კეთილმოწყობა

სტალინური ხუთწლედების მანძილზე საგრძნობლად იცვალა სახე ქალაქმა გორმა. მნიშვნელოვანი ღონისძიებები ხორციელდება ამ ისტორიული ქალაქის მშენებლობისა და კეთილმოწყობისათვის. მაგრამ ქალაქის მშენებლობის ახლანდელი ტემპი არადამაკმაყოფილებელია.

გორში ერთ-ერთი წამყვანი სამშენებლო ორგანიზაციაა „საქრმენის“ გორის კანტორა (მმართველი ამხ. მ. დუგლაძე), რომელიც შექმნილია სპეციალურად გორის მშენებლობისათვის. სამწუხაროდ, ეს სამშენებლო კანტორა სათანადოდ ვერ უძღვება საქმეს. მან ცუდი მაჩვენებლებით დაამთავრა გასული სამეურნეო წელი. ჩამორჩენა წელსაც გრძელდება. ჩაიშალა მუზეუმის, საავადმყოფოს და წყალსადენის მშენებლობის დამთავრების დაწესებული ვადები.

აღსანიშნავია, რომ ქალაქის საავადმყოფოს მშენებლობა 1946 წლიდან ჭიანურდება. დამთავრების ვადები ბევრჯერ ამოიწურა, მაგრამ მშენებლობას მაინც არაფერი ეშველა. შარშან მშენებლობაზე გათვალისწინებული 1.600 ათასი მანეთიდან ათვისებულ იქნა მხოლოდ 800 ათასი მანეთი. კანტორის მმართველი ამხ. დუგლაძე საავადმყოფოს მშენებლობაზე გამოყოფილი თანხის ათვისებლობის მიზეზად მუშახელის სიმცირეს თვლის. მაგრამ ვინ არის ამაში დამნაშავე? თვით კანტორის ხელმძღვანელები. ისინი მუშებს სათანადო კულტურულ-საყოფაცხოვრებო და საწარმოო პირობებს არ უქმნიან. მრავალი მშენებელი ნორმას ვერ ასრულებს. ის უწინარეს ყოვლისა აიხსნება სამშენებლო ფრონტის ცუდი ორგანიზაციით.

საავადმყოფოს მშენებლობაზე სრულებით არ ექცევა ყურადღება ხარისხს. მთელი რიგი სამუშაოები, არაკეთილხარისხოვნად შესრულების გამო, მეორედ გადაკეთეს. მშენებლობა ჯერ კიდევ დამთავრებული არ არის და მეტი წილი ოთახები უკვე საჭიროებს რემონტს. სახურავში ჩამონადენი წყალი ანგრევს და აფუჭებს ოთახებს. ცუდად არის დაგებული პარკეტი, რომლის მნიშვნელოვანი ნაწილი საფუძვლიან გადაკეთებას მოითხოვს. დამზადებული კარ-ფანჯრებიც ულამაზო და არასტანდარტულია. გადაკეთებულ იქნა შენობის წინა ფასადის სვეტები და შიდა კედლები, რომლების აშენებისას ტექნიკური პირობები არ დაუცავთ. ყოველივე ეს იმის შედეგია, რომ მშენებლობაზე ძალიან სუსტია ტექნიკური ზედამხედველობა.

ამასთან არის თვალისახვეევისა და ბოროტმოქმედებათა ფაქტებიც. 130 ათასი მანეთის სამუშაო შესრულებულად არის შეტანილი აქტებში. მაგალითად, პარკეტი 2.100 კვადრატული მეტრი დაადგეს, შესრულებულ სამუშაოთა აქტში კი 2.900 კვადრატული მეტრია ნაჩვენები. ასევე ზედმეტია ნაჩვენები მოზაიკის იატაკის დაგებაზე — 218 კვადრატული მეტრი. ასეთი მაგალითები მრავალია. არის დიდძალი საშენი მასალის განიავების შემთხვევები.

საავადმყოფოს მშენებლობის გაჭიანურებაში ბრალი მიუძღვით არა მარტო მშენებლებს, არამედ შემკვეთელ ორგანიზაციებსაც. გორის საქალაქო საბჭოს აღმასკომის ჯანმრთელობის დაცვის განყოფილება (გამგე ნ. დაფქვიაშვილი) რატომღაც ნაკლებად არის დაინტერესებული საავადმყოფოს მშენებლობის ბედით. საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროც ფორმალურად ეკიდება ამ საქმეს. გასული წლის დამლევს გორში იყო ჯანმრთელობის დაცვის მინისტრი ამხ. ხელიძე. ადგილობრივ მუშაკებს იმედი მიეცათ, რომ გორში მინისტრის ჩამოსვლა ნაყოფს გამოიღებდა. ისინი დარწმუნებული იყვნენ, რომ ამხ. ხელიძე საჭირო ზომებს მიიღებდა მშენებლობაში არსებული სამარცხვინო ჩამორჩენის გამოსასწორებლად. მაგრამ მოხდა პირიქით. წელს საავადმყოფოს მშენებლობა სრულიად შეწყდა და ოთხი თვეა აღარ წარმოებს.

მეშვიდე წელია დანაშაულებრივად ჭიანურდება ქალაქის სტადიონის მშენებლობა. ჯერ კიდევ დასამთავრებელია მოპირკეთების სამუშაოები, მოსაწყობია სკამები და მთავარი შესასვლელი. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის საქმეთა კომიტეტის მიზეზით მშენებლობის დაფინანსება შეჩერებულია. როგორც ჩანს, რესპუბლიკური კომიტეტის თავმჯდომარეს ამხ. ფარულავას ნაკლებად აწუხებს ის მდგომარეობა, რომ გორის სტადიონის მშენებლობა ჭიანურდება.

სახარბიელო მდგომარეობა როდია ოკტინიანი საცხოვრებელი სახლის მშენებლობაზე, რომლის აგება 1950 წელს დაიწყო. მშენებლობის გაჭიანურების მთავარი მიზეზია დაგეგმვისა და დაფინანსების უხეირო სტილი. საქართველოს სსრ კომუნალური მეურნეობის სამინისტროო საჭირო პასუხისმგებლობით არ ეკიდება ამ ობიექტის მშენებლობას. სამინისტროს მიერ მშენებლობისათვის 1950 წელს გაღებული იყო 300 ათასი მანეთი, ამდენივე თანხა იყო გათვალისწინებული შარშან, ხოლო მომდინარე წელს გათვალისწინებულია 200 ათასი მანეთის ათვისება. სახლის მშენებლობის სახარჯთაღრიცხვო ღირებულება კი 1.650 ათასი მანეთია. ასეთი ტემპით და დაფინანსების ასეთი პრაქტიკით სახლის მშენებლობა, ალბათ, კიდევ რამდენიმე წელიწადს გასტანს. კომუნალური მეურნეობის სამინისტროს ასეთ დამოკიდებულებას მშენებლობისადმი ბოლო უნდა მოეღოს.

გარდა ჩამოთვლილი ობიექტებისა „საქმშენის“ გორის კანტორა აწარმოებს სასტუმრო „ინტურისტის“ მშენებლობას. ეს მშენებლობაც სამარცხვინოდ ჩამორჩა. მშენებლობის შარშანდელი გეგმა სანახევროდაც ძლივს შესრულდა. დიდი ვარიეგეთი დაამთავრა მშენებლობის კოლექტივმა მიმდინარე წლის პირველი კვარტალი. ნაცვლად 170 ათასი მანეთისა ათვისებულია მხოლოდ 97 ათასი მანეთი. მშენებლობის ასეთი ჩამორჩენის მიზეზია საშენი მასალის სიმცირე, კვალიფიციური და დამსმარე მუშახელის ნაკლებობა. წესიერად გაფორმებული არ არის ტექნიკური დოკუმენტაცია. „საქმშენის“ რესპუბლიკური ტრესტის დამხმარე საწარმოებში ჭიანურდება კარ-ფანჯრების დამზადება. გასული წლის ზაფხულზე მიცემული შეკვეთა სასტუმროს კარ-ფანჯრების დამზადების შესახებ დღესაც არ არის შესრულებული. სასტუმროს მშენებლობისათვის შარშან მიღებული იკლარის ქვა სანახევროდაც არ იქნა გამოყენებული არაკეთილხარისხოვნობის გამო.

დანაშაულებრივად ჭიანურდება აგრეთვე მუზეუმისა და წყალსადენის მშენებლობა. წელს კი აღნიშნული მშენებლობანი სავსებით შეწყდა.

გორელ მშენებლებს კანონიერი პრეტენზიები აქვთ საარქიტექტურო-საპროექტო ორგანიზაციებისადმი. ტექნიკური დოკუმენტაცია დიდი დაგვიანებით დგება. ამასთან არქიტექტურული გეგმები სავსეა სერიოზული დეფექტებით. მუზეუმის პირველადელი პროექტის (ავტორი ა. ქურდიანი) გადაკეთება რამდენჯერმე გახდა საჭირო. მთელი რიგი სამუშაოები პროექტში შემდგომ შეიტანეს, რამაც გამოიწვია მუზეუმის სახარჯთაღრიცხვო ღირებულების გაზრდა. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული საარქიტექტურო სამმართველო (უფროსი ამხ. ა. ქურდიანი) და საქართველოს სახელმწიფო საპროექტო ინსტიტუტი (დირექტორი ამხ. ლომინაძე) საჭირო ყურადღებას არ აქცევენ გორის მშენებლობათა დროზე უზრუნველყოფას სათანადო პროექტებით. აღსანიშნავია, რომ მუზეუმის ხარჯთაღრიცხვა თავიდანვე ზუსტად არ შეადგინეს. იქ შეტანილი არ იყო ყველა სამუშაო, რომლებიც გათვალისწინებულია ტექნიკური პროექტით.

შეუწყნარებელი ტემპით წარმოებს გორის ხორცკომბინატის მაცივრის მშენებლობა (უფროსი ამხ. ბაბუნაშვილი). იგი უზრუნველყოფილი არ არის საშენი მასალებით, სამონტაჟო სამუშაოებისათვის საჭირო მანქანადანადგარებითა და მუშახელით. მშენებლობას არადამაკმაყოფილებლად ხელმძღვანელობს საქართველოს სსრ ხორცისა და რძის მრეწველობის სამინისტრო (მინისტრი ამხ. გ. ბერიაშვილი). [illegible] ხელზე ქმარავი [illegible] პრაქტიკული დახმარება კი მცირეა.

ცუდად მუშაობს გორის საქალაქო საბჭოს აღმასკომის სარემონტო ტრესტიც (მმართველი ამხ. ვ. ოქრუაშვილი). ქუჩების მშენებლობა და კეთილმოწყობა ჭიანურდება. შესრულებული სამუშაოები ზოგჯერ დაბალხარისხოვანია და გადაკეთებას მოითხოვს.

გორში ცოტანი როდი არიან ისეთი ორგანიზაციები, რომლებმაც აქტიური მონაწილეობა უნდა მიიღონ ამ ისტორიული ქალაქის მშენებლობაში. მაგრამ ისეთი მსხვილი ორგანიზაციები, როგორიც ბამბეულის კომბინატი და საკონსერვო ქარხანაა, სახლების მშენებლობას აჭიანურებენ. ი. ჭავჭავაძის ქუჩაზე საკონსერვო ქარხნის სამსართულიანი საცხოვრებელი სახლის მშენებლობას ბოლო არ უჩანს. ბამბეულის კომბინატს სამსართულიანი სახლის ასაშენებლად 1948 წელს ქალაქის ცენტრში გამოუყვეს ნაკვეთი, მაგრამ დღემდე მხოლოდ პროექტებს ადგენენ და მშენებლობას ჯერ არ შესდგომიან.

საქართველოს ტურისტულ სამმართველოს გორის ბაზისათვის შენობის ასაგებად სტალინის პროსპექტზე 1948 წელს გამოუყვეს ნაკვეთი. შეადგინეს პროექტი, რომელიც რამდენჯერმე გადაკეთეს, პრაქტიკულად კი საქმეს არ შესდგომიან. საქართველოს ტურისტთა სამმართველო გორში თავის ბაზას ყურადღებას არ აქცევს. გორის ტურისტთა ბაზა საკალალო მდგომარეობაშია.

ტრესტ „საქსოფლელექტროს“ გორის კანტორას 1949 წლიდან გამოუყვეს ადგილი ადმინისტრაციული სახლის ასაშენებლად, მაგრამ მშენებლობის დაწყებას აჭიანურებენ. ჯერჯერობით მხოლოდ პროექტი შეადგინეს.

გორის მშენებლობასა და კეთილმოწყობას არადამაკმაყოფილებლად ხელმძღვანელობენ საქართველოს კ. პ. (ბ) გორის საქალაქო კომიტეტი და გორის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომი. საქალაქო კომიტეტი და საქალაქო საბჭოს აღმასკომი, მართალია, სისტემატურად იხილავენ ცალკეული ობიექტების მშენებლობათა მიმდინარეობის საკითხებს, ლამაზი დადგენილებებიც გამოაქვთ, მაგრამ მუშაობაში გარდატეხა არა ჩანს.

გორში მთელ რიგ სამშენებლო ობიექტებზე არაკეთილხარისხოვნად ასრულებენ სამუშაოებს, მაგრამ ქალაქის საბჭოს აღმასკომი დამნაშავეთა მიმართ კანონით გათვალისწინებულ ზომებს არ იღებს.

სუსტად მუშაობს საქალაქო საბჭოს აღმასკომის კომუნალური განყოფილება (გამგე ამხ. დ. თავზარაშვილი). ამ განყოფილების მუშაკები ბევრს ხმაურობენ გორის მშენებლობის შესახებ, მშენებლებისადმი მათი დახმარება კი სუსტია.

მთელ რიგ ობიექტებზე სამუშაოთა გაჭიანურებისა და ჩამორჩენის მიზეზი ისიც არის, რომ მშენებლობათა ხელმძღვანელები, პარტიული და პროფსიული ორგანიზაციები საჭირო ყურადღებას არ აქცევენ მუშათა და ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკთა შორის სოციალისტური შეჯიბრების გაშლას, მასობრივ-პოლიტიკურ მუშაობას. მუშებს შესაფერ პირობებს არ უქმნიან მაღალნაყოფიერი, სტახანოვური შრომისათვის, არ განაზოგადებენ მშენებელ ნოვატორთა მოწინავე გამოცდილებას.

„საქმშენის“ გორის კანტორის სამშენებლო ობიექტებზე სუსტად არის დაყენებული მასობრივ-პოლიტიკური მუშაობა. აგიტატორებიც იშვიათად მართავენ საუბრებს. ცუდად მუშაობს აგიტკოლექტივი, რომელსაც პარტიის საქალაქო კომიტეტის ინსტრუქტორი ამხ. კიკნაძე ხელმძღვანელობს.

გორის ახალმშენებლობებზე მუშაობა გადაჭრით უნდა დაჩქარდეს. ყველა პირობა არსებობს იმისათვის, რომ მშენებლობა ვაწარმოოთ სწრაფად, მაღალხარისხოვნად და იაფად.

შ. ჩუბინიძე

„კომუნისტის“ საკუთარი კორესპონდენტი

„კომუნისტის“ სიგნალის შემდეგ

„უფრო განვამტკიცოთ მეცნიერებისა და წარმოების მუშაკთა თანამეგობრობა“

საქართველოს კიროვის სახელობის პოლიტექნიკური ინსტიტუტის სამთო ფაკულტეტის სამეცნიერო საბჭომ განიხილა „კომუნისტის“ 16 აპრილის მოწინავე წერილი „უფრო განვამტკიცოთ მეცნიერებისა და წარმოების მუშაკთა თანამეგობრობა“ და 19 აპრილის ნომერში გამოქვეყნებული კორესპონდენცია „მახტებს ესაჭიროებათ ინსტიტუტის დახმარება“.

სამეცნიერო საბჭომ სავსებით სამართლიანად ცნო გაზეთის კრიტიკა და აღნიშნა, რომ ინსტიტუტის სამთო ფაკულტეტის კათედრებსა და მათ წევრებს მახტებისათვის გაცილებით მეტი დახმარების აღმოჩენის შესაძლებლობა ჰქონდათ, ვიდრე ფაქტიურად არის გაკეთებული. თუმცა ცალკეული კათედრები და მათი წევრები ერთგვარ სამეცნიერო-კვლევითს მუშაობას ეწევიან ჭიათურაში, ტყიბულსა და სხვა სამთო რაიონებში, მაგრამ ეს სრულებით არ არის საკმარისი, განსაკუთრებით დღეს, როცა ჩვენს სამთო მრეწველობაში ესოდენ ფართოდ ინერგება მადნეულის დამუშავების ახალი სისტემები და ხდება ძმიმე შრომატევადი საწარმოო პროცესების მექანიზაცია.

საბჭომ გამოყო კომისია, რომელსაც დაევალა მიავლინოს წარმომადგენლები საქართველოს ძირითად სამთო რაიონებში მუშაობის „ვიწრო“ ადგილების გამოსავლინებლად, საწარმოთა მუშაკებთან ერთად შრომის ორგანიზაციისა და ტექნოლოგიური პროცესების გაუმჯობესების მიზნით სათანადო სამეცნიერო ტექნიკურ ღონისძიებათა განსახორციელებლად.

თბილისური ფაიფურის ფილები

თბილისის კერამიკულ კომბინატში შეუდგნენ მზადებას საკედლე მოსაპირკეთებელი ფაიფურის ფილების გამოსაშვებად. სათანადო მოწყობილობა — ფილების საწნეხი, მომჭიქურებელი, გასაშრობი და სხვა მანქანები, აპარატები და დანადგარები მიღებულია და დაწყებულია მათი გამართვა.

კომბინატის ხელმძღვანელებს გათვალისწინებული აქვთ ყოველწლიურად მიაწოდონ მშენებლებს იმდენი ფაიფურის ფილა, რამდენიც საჭირო იქნება სულ ცოტა ნახევარი მილიონი კვადრატული მეტრი საკედლე ფარითების მოსაპირკეთებლად.

ფაიფურის ფილებზე, როგორც საკედლე მოსაპირკეთებელ მასალაზე, მშენებლები მზარდ მოთხოვნილებას აყენებენ. დღემდე ასეთი ფილები მეზობელი ბომბე რესპუბლიკებიდან შემოგვქონდა.

ადგილობრივი მრეწველობის ახალი პროდუქცია

საქართველოს სსრ ადგილობრივი მრეწველობის საწარმოთა კოლექტივები ამჟამად წარმატებით მუშაობენ მთელი რიგი ახალი სახის პროდუქციის ასათვისებლად.

26 კომისრის სახელობის მანქანათმშენებელი ქარხნის და მუსიკალური ინსტრუმენტების კომბინატის კოლექტივები შეუდგნენ მუშაობას მრავალსართულიანი სახლებისათვის ლიფტების წარმოების ასათვისებლად. ეს ლიფტები გაუმჯობესებული კონსტრუქციისა იქნება. მათი სერიული წარმოება უახლოეს დროში მოგვარდება.

ახლახან ამუშავდა მომინანქრებული ჭურჭლის ქარხანა, რომელმაც უკვე გამოუშვა 6.500 ცალი მომინანქრებული ვედრო. ამჟამად ამ ქარხანაში იწყებენ მომინანქრებული თეფშების, ტაშტებისა და ქვაბების მასობრივად გამოშვებას.

ბათუმის მომთუთიებელი ქარხნის კოლექტივმა ითვისა და გამოუშვა ახალი სახის ორსადგარიანი ნავთქურა, რომელზეც ერთდროულად იდგმება 2 ქვაბი. წელს ეს ქარხანა გამოუშვებს ათას ცალ ასეთ ნავთქურას.

თბილისის კუიბიშევის სახელობის ხის გადასამუშავებელ ქარხანას გადაეცა ნახაზები მოსწავლეთათვის საოჯახო ინდივიდუალური მერხის დასამზადებლად. ეს მერხი წარმოადგენს სასკოლო მერხის მსგავს ასაწყობ პატარა-სკამიან მაგიდას, რომლის სიმაღლე შეიძლება შევცვალოთ ამის შესაბამისად, თუ რა ასაკის ბავშვი იმეცადინებს. ქარხანას დავალებული აქვს წელს გამოუშვას 1.000 ცალი ასეთი გაუმჯობესებული სასწავლო მერხი.

გაუმჯობესებული ტექნიკა მარმარილოს კარიერზე

თელავი. (საკ. კორ.). წოპისგორაზე, რომელიც ზღვის დონიდან 1.850 მეტრ სიმაღლეზე მდებარეობს, მარმარილოს კლდეებია აღმართული. აქ მიმდინარე წლის სამუშაო სეზონი აპრილის ბოლო რიცხვებიდან დაიწყო. მარმარილოს ზოდები რომ მოემტვრიათ, წინათ ხელით ბურღავდნენ კლდეს. ეს დიდ ჯაფას ითხოვდა და შრომის ნაყოფიერებაც დაბალი იყო. ახლა რომ ბურღვაში კომპრესორს იყენებენ, შრომის ნაყოფიერება 7-ჯერ გაიზარდა. ამას ხელი შეუწყო დატვირთვის მექანიზაციამ. ახლა დატვირთვას ავტოამწეების საშუალებით ახდენენ.

ლოპოტის მარმარილოს კარიერების სამმართველომ (დირექტორი ა. ვარდოშვილი) წელს 1.300 კუბმეტრი მარმარილო უნდა გაგზავნოს დანიშნულების ადგილას. უკვე დამზადებულია 800 კუბმეტრი. ამ დღეებში მარტო მოსკოველ მშენებლებს გაეგზავნათ პირველი 80 კუბმეტრი მარმარილო.

მარმარილოს კარიერების კოლექტივი დაძაბული ენერგიით მუშაობს მიცემულ დავალებათა წარმატებით შესასრულებლად. ბორის ჩაბაკაურის, ნიკოლოზ ფიცხელაურის და ანდრო ჩოფიკაშვილის მარმარილოს მთლელთა ბრიგადები ყოველდღიურ დავალებას 150-200 პროცენტით ასრულებენ.

კრიტიკა და ბიბლიოგრაფია

ერთი უხეირო თარგმანის შესახებ

გასულ წელს საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტრომ გამოსცა სტალინური პრემიის ლაურეატის, ტექნიკურ მეცნიერებათა კანდიდატის ი. ი. ტრეპენენკოვის წიგნის „ტრაქტორი კიროვეც Д-35“ ქართული თარგმანი.*)

საქართველოს სოფლის მეურნეობის მექანიზატორთა კადრებისათვის ტექნიკური ლიტერატურის გამოცემა უდავოდ მისასალმებელია. მაგრამ წიგნი იმდენად ბევრ უხეშ პრინციპულ შეცდომებს, სტილისტურად გაუმართავ, უაზრო წინადადებებს, გაუგებარ გამოთქმებს და ტერმინოლოგიურ დამახინჯებებს შეიცავს, რომ ამ სახით მან შეიძლება მკითხველში გაუგებრობა გამოიწვიოს.

თარგმანის ტექსტი მრავალ შემთხვევაში არ ეთანხმება ორიგინალის აზრს, მასში უხვად გვხვდება არასწორი და შეუსაბამო ტერმინები. ზოგჯერ თარგმანის ტექსტის შინაარსი სრულიად გაუგებარია. ძნელია წიგნში ისეთი გვერდის მოძებნა, რომელშიც არ იყოს ან პრინციპული, ან სტილისტური, ან კორექტურული შეცდომები.

თარგმანში დაშვებული ყველა შეცდომის აქ მოყვანა შეუძლებელია, ამიტომ სანიმუშოდ მოვიყვანთ მხოლოდ ზოგიერთს.

რუსული გამოცემის მე-7 გვერდზე დაბეჭდილია:

Генератор освещения - - - - - Г45-60w постоянного тока

Вес двигателя без радиатора в кг - - 780

Система пуска - - - - Пусковой двигатель, декомпресор и подогревательное устройство

ეს ადგილი ასეა თარგმნილი:

განათების გენერატორი - - - ГТ45-6 მუდმივი

დენის 780

ძრავის წონა ურადიატოროდ კი-გამშვები ძრავი, დეკომპრელოგრამებში გაშვების სისტემა - - - სორები და გასაცხელებელი მოწყობილობა.

ამრიგად ქართულ თარგმანში სრულ უაზრობასთან გვაქვს საქმე.

ტრაქტორის ტექნიკური დახასიათების დასასრულს მოყვანილი შენიშვნა რუსულ გამოცემაში (გვ. 9) **„Оборудование, отмеченное звездочкой, поставляется только по особому соглашению с заказчиком“**, ქართულ გამოცემაში (გვ. 9) ასეა თარგმნილი: „ვარსკვლავით აღნიშნული მოწყობილობა თან ერთვის ტრაქტორს შემკვეთთან (?), მხოლოდ ცალკე შეთანხმების შემდეგ“.

რუსული ტექსტი (გვ. 13): **„У дизеля, в отличие от карбюраторных двигателей, при ходе поршня вниз во время хода впуска в цилиндр через впускной клапан всасывается чистый воздух“**, თარგმნილია (გვ. 13) ასე: „დიზელები კარბურატორულ ძრავებთან განსხვავებით დგუშის ქვევით შეშვების სვლის დროს, ცილინდრში შემშვების სარქველის საშუალებით, სუფთა ჰაერს შეიწოვენ“. (?)

რუსული ტექსტი (გვ. 35): **„Кроме того, наличие всережимного регулятора позволяет снижать число оборотов двигателя и, следовательно, скорость трактора при данном передаточном числе силовой передачи без ухудшения тяговых показателей и экономичности“**, ასე გაუგებრად არის თარგმნილი (გვ. 33-34): „გარდა ამისა ყველარეჟიმიანი რეგულატორი ძრავას ბრუნთა შემცირების საშუალებას იძლევა და მაშასადამე, ტრაქტორის სიჩქარისასაც, ძალთა გადაცემის მოცემულ გადასაცემ რიცხვთა დროს წევითი მაჩვენებლების და ეკონომიურობის გაუარესების გარეშე“.

თარგმანში ამ უამრავ აზრობრივ დამახინჯებათა გარდა დაშვებულია ტექნიკური შეცდომებიც; მაგალითად, კილოგრამსაათის ნაცვლად დაბეჭდილია კილომეტრსაათი. მე-5 გვერდზე **„Порядок работы цилиндров“** თარგმნილია როგორც „ცილინდრთა მუშაობის თანრიგი“, ნარევის შექმნის მაგიერ ვკითხულობთ: „ნახვის შექმნა“.

ტრაქტორის წევითი და საექსპლოატაციო მუშაობის დახასიათებაში საწვავის საათური ხარჯვის განზომილება კილოგრამსაათის ნაცვლად რამდენჯერმე აღნიშნულია კილომეტრსაათი.

ბევრ შემთხვევაში დამახინჯებულად არის თარგმნილი რუსული ტერმინებიც. მაგალითად, **„Юбка поршня“** თარგმნილია „დგუშის იუბკა“, **„Шатунная шейка“** — „ბორბლის ყელი“, **„Шариковый подшипник“** — „ბურტოვანი საკისარი“, **„Люк“** — „ლუქი“ და სხვ.

მოყვანილი ფაქტები მხოლოდ მცირე ნაწილია იმ უამრავი შეცდომებისა და დამახინჯებებისა, რომლებიც დაშვებულია წიგნში მთარგმნელის და გამომცემლობის მიზეზით. ამიტომ ამ წიგნს სარგებლობის ნაცვლად შეუძლია მხოლოდ ზიანი მოუტანოს ტრაქტორისტთა და მექანიზატორთა კადრების აღზრდის საქმეს.

ამ მაგალითებიდან აშკარაა, რომ გამომცემლობამ, სოფლის მეურნეობის სამინისტრომ და თარგმანზე მომუშავე ამხანაგებმა ასეთი არაკეთილხარისხოვანი წიგნის გამოშვებით სრული დაუდევრობა გამოიჩინეს.

გ. ხანთაძე

ტექნიკურ მეცნიერებათა კანდიდატი.

*) ი. ი. ტრეპენენკოვი — „ტრაქტორი კიროვეც Д-35“. თარგმანი გრ. ჩუბინიძისა, რედაქტორი ს. ვაჩეიშვილი. გამომცემლობა სახელგამი.

კულტურის სახლის რეკონსტრუქცია

წალენჯიხა. (საკ. კორ.). ბორჯომის საქალაქო საბჭოს აღმასკომის სამშენებლო კანტორა შეუდგა წაღვერის კულტურის სახლის რეკონსტრუქციას. კულტურის სახლის არსებულ შენობას უკვე მიუშენეს სამი ახალი ოთახი, მთლიანად გადაკეთდა მაყურებელთა დარბაზი და სცენა.

კულტურის სახლის მთლიანი რეკონსტრუქცია ერთ თვეში დამთავრდება.

ჩვენ გვწერენ

„წვრილმანებს“ ყურადღებას არ აქცევენ

რკინიგზის თელავის სადგურის მოედანი დაზიანებულია; აქ არათუ ასფალტი არ დაუგიათ, არამედ ხრეშიც კი არ დაუყრიათ. მგზავრები ტალახში ისვრებიან. მოედნის შეკეთება შარშან გადაწყვიტეს, საამისოდ ფულიც იყო გამოყოფილი, მაგრამ მასალები ვერ „იშოვნეს“ და საქმე ჩაფუშეს.

მოედნიდან გუდერმონირებული გზა იწყება. მის ორივე მხარეს ტბები დგას. ამ ტბებში შორი მანძილიდან მოტანილი საშენი მასალები—ხე-ტყე, ქვა, აგრეთვე ნახშირი ყრია. „ზაგოტზერნოს“ თელავის პუნქტის წინ, სადაც ყოველ წელიწადს მარცვლეულით დატვირთული მრავალი ავტომანქანა და ურემი ჩერდება, დიდი გუბეებია.

გზის მოშორებით სასაუზმეა გახსნილი, მაგრამ წვიმიან ამინდში იქ მისვლას ვერავინ ბედავს ლაფში ჩავარდნის შიშით.

შეიძლება თუ არა ამ „წვრილმანების“ გამოსწორება? რასაკვირველია შეიძლება, მაგრამ თელავის მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოს აღმასკომისათვის ეს რატომღაც შეუძლებელ საქმედ გადაქცეულა.

ს. თელიაშვილი

დაპირება ქალაქზე დარჩა

1950 წელს ქალაქ მახარაძეში ფიზკულტურის სავარჯიშო მოედნისათვის ცხაკაიას ქუჩაზე № 35 გამოყოფილ იქნა ფართობი. ამ ფართობში მოყვა ჩემი სახლი და კარმიდამო. საქართველოს კ. პ. (ბ) მახარაძის რაიკომისა და რაისაბჭოს აღმასკომის დადგენილებით, ამ ადგილის მცხოვრებლების და მათ შორის ჩემი სახლი გადატანილი უნდა ყოფილიყო ამავე რაიონის ცენტრის სხვა ქუჩებზე. პირადად მე ავირჩიე სტალინის ქუჩაზე გამოყოფილი ფართობი. დაპირების თანახმად, ჩემი სახლი 1951 წელს უნდა გადმოეტანათ და დაედგათ ისე, როგორც იგი ძველ საბოსახლო ადგილას იდგა. ბინის დანგრევის დროს ნახევარზე მეტი კარგი ხარისხის მასალა მოპპარულ და დამტვრეულ იქნა, სახლი ააშენეს უხარისხო მასალით და შემოუკავებელ ეზოში. აშენებული სახლის კედლები დაზიანებულია, იატაკი და ჭერი სრულიად უვარგისია, არა აქვს კარები და ფანჯრები, სახურავის კრამიტი ნახევრად დამტვრეულია, უხარისხოდ აგებული სახლი წვიმის გამო ლპება.

ამ მდგომარეობის შესახებ რამდენჯერმე მივმართე პარტიის მახარაძის რაიონულ კომიტეტსა და რაისაბჭოს აღმასკომს, მაგრამ დღემდე მხოლოდ დაპირებით მისტუმრებენ.

საინტერესოა, როდემდის გაგრძელდება ასე?

მ. დემურია

მახარაძის საშუალო სკოლის მოსწავლე

გუშინ ჩვენი რესპუბლიკის სკოლებში დაიწყო გამოცდები. სურათზე: თბილისის ქალთა მე-20 საშუალო სკოლის XI კლასი. წერითი გამოცდა ქართულ ლიტერატურაში.

ფოტო ვ. გინზბურგისა

გუშინ რესპუბლიკის სკოლებში დაიწყო გამოცდები

თაოგები

გაზაფხულის ნიავი აშრიალებს ხეთა ფოთლებს ქალთა მეოცე სკოლის ეზოში. ორას ცხრა ბავშვის გულისყური მიპყრობილია დირექტორისაკენ. თითქოს გესმით მათი გულის ფეთქვა. სიხარულისა და აღელვებისაგან ოდნავ გაფითრებულ სახეებზე ეხატებათ სწავლისათვის პასუხისმგებლობის კეთილშობილური გრძნობა.

სკოლის შენობის მეორე სართულის აივნიდან ისმის დირექტორის დინჯი, გამამხნევებელი სიტყვები: — დღეს თქვენთან ერთად ვიწყებთ წლიური შრომის შეჯამებას. წერითი თემებისათვის საგამოცდო ფურცლები მზად არის. ზოგიერთი თქვენგანი ღელავს, მაგრამ საშიში არაფერია. ბილეთებზე აღნიშნული საკითხები თქვენთვის უცხო არ არის. ნუ აღელდებით, ნუ აჩქარდებით... ახლა კი— კლასებში!

თითქოს მტრედის გუნდი აფრთხიალდა — მოსწავლენი ერიამულით გაეშურნენ კლასებისაკენ.

ყვავილთა სანერგეს ჰგავს მეოთხე კლასი. რამდენი სიხარული განიცადეს წელს ამ წითელყელსახვევიანმა ნორჩებმა—ჯერ იყო და პიონერები გახდნენ, პიონერები, რომელთაც სულით და გულით მიესალმა გუშინ დიდი სტალინი. დღეს კი პირველი გამოცდაა!

მონდომებით ჩაუბღუჯავთ ვარდისფერ ხელებში კალამი, რომ ლამაზად გამოიყვანონ ასოები. **„Как Миша спас поезд“.** — ასეთია მათი საგამოცდო თემა რუსულში.

კლასს თავს დასტრიალებს მომთხოვნელი, მაგრამ მზრუნველი მასწავლებელი ნინო ჩხეიძე. მან იცის, რომ წლის ბეჯითი ნამუშევარი ფუჭად არ ჩაივლის. ასეც მოხდა — ოცდაცამეტი მოსწავლიდან თოთხმეტმა ნიშანი ხუთი მიიღო, თორმეტმა — ოთხი, ორიანი კი არც ერთმა.

რა სიხარულით ფეთქავს ნორჩი პიონერების თინა ჭიჭინაძის, ნანი ტყეშელაძის, მანონ ქურციკიძისა და სხვათა გული, რომ დიდი სტალინის მისალმებას დღესაც ხუთიანით უპასუხეს!

მეათე კლასი. კიდევ ერთი წელი— და აქ მოსწავლენი დატოვებენ სკოლის თეთრ კედლებს, უფრო ღრმად შედგამენ ფეხს ცხოვრებაში.

ნაცნობი დაფა! — რამდენი სიხარული და აღელვება ახსოვთ გოგონებს მის წინ. მაგრამ დღეს სულ სხვაა. გამოცდა გეომეტრიაში. დაფასთან აყოლია გელიაშვილი. მისკენ კლასის გულისყურია მიპყრობილი—როგორ უპასუხებს ბილეთზე სკოლის კომკავშრომელთა მეთაური? ბილეთი № 10: — სიბრტყის ძირითადი თვისებები. სწორი ხაზისა და სიბრტყის პარალელობის ნიშნეულობანი. სექტორის ფართობი.

თამამად, რწმენით, ენის წაუბორძიკებლად ჰყვება იგი თეორემებს. ლენინის ორდენოსანი მასწავლებლის სოლომონ ციხაძის სახეზე კმაყოფილება იხატება. მოსწავლე ბრწყინვალედ უპასუხებს. მაგრამ ბედი საბოლოოდ დაფაზე უნდა გადაწყდეს.

სიბრტყის ძირითადი თვისებები. სექტორის ფართობი...

შესაბამისი დამასაბუთებელი ნახაზებით დაფაზე მოსწავლე ამტკიცებს საკითხის ცოდნას.

უყურებ ამ გოგონას დაფასთან, მის ნახაზებს, და ოცნებას ხვალინდელი დღისაკენ გადაჰყავხარ: გელიაშვილი და მილიონობით მისი ტოლი ჭაბუკები და ქალიშვილები ხვალ ასეთ ნახაზებს, უფრო რთულებსაც, პრაქტიკაში გამოიყენებენ სოციალისტური მშენებლობის სხვადასხვა უბნებზე. და მაშინ ისინი კმაყოფილებით მოიგონებენ ამ წუთებს, საკლასო დაფას, მასწავლებელს...

„სოციალისტური მშენებლობის ასახვა ქართულ საბჭოთა მწერლობაში“, — ეს თემა აირჩია ბევრმა მოსწავლემ მეთერთმეტე კლასში. თემაზე მშვენივრად დაწერა საგამოცდო შრომა მოსწავლე ნინო გრძელიძემ. როდესაც იგი წერდა ამ ნაწარმოებთა გარჩევას, სადაც ასახულია საბჭოთა ადამიანების თავდადებული შრომა ბოლშევიკური პარტიის ხელმძღვანელობით, სოციალისტური შრომის პათოსი, — უთუოდ ახსოვდა თავისი მამაც — თბილისის ექსპერიმენტალურ ხელსაწყოთა ქარხნის მოწინავე მუშა, კომუნისტი ივანე გრძელიძე, და უთუოდ იმზეც ფიქრობდა, რომ აქ, ამ საკლასო მერხთან მამის თავდადებული შრომისათვის საგამოცდო შრომის კარგად დაწერით ეპასუხნა.

პირველი დღე მთავრდება. პირველი შედეგი კარგია: ორას ცხრა მოსწავლიდან ორმოცდათექვსმეტმა მიიღო შეფასება ხუთი, სამოცდაათმა — ოთხი; არც ერთს არ მიუღია ორიანი.

მასწავლებელთა სახეზე სიხარული, ბედნიერება და ხვალის უფრო მეტი პასუხისმგებლობის გრძნობაა აღბეჭდილი.

საქართველოს სსრ სკოლის დამსახურებული მასწავლებლის ლენინის ორდენოსან თინათინ დოლიძის კლასში გამოცდები არ არის, მაგრამ იგი მაინც ვერ სცილდება სკოლას. თინათინი ახლა იმაზე ფიქრობს, თუ როგორ ჩაბარებს გამოცდებს მისი ყოფილი მოსწავლე, ამჟამად ამავე სკოლის ისტორიის მასწავლებელი ვალენტინა კახიანი (ეს დღეები ხომ მასწავლებელთა გამოცდაც არის!) და თვითონ ვალენტინას ყოფილი მოწაფეც ხომ ამავე სკოლაში ასწავლის ინგლისურ ენას.

თაობები ზრდიან თაობებს.

ვლ. თოდრდუა

მოსწავლეები ღრმა და მჯიღი ცოდნას ამჟღავნებენ

ბათუმი. (საკ. კორ.). ორგანიზებულად ჩაიარა გამოცდების პირველმა დღემ ბათუმის სკოლებში.

ქალთა პირველ საშუალო სკოლაში (დირექტორი ნ. მაჭუტაძე) მეთერთმეტე კლასის ყველა 32 მოსწავლე თავის დროზე გამოცხადდა. მოსწავლეთა უმრავლესობამ დაწერა თემა: „სოციალისტური მშენებლობის ასახვა ქართულ საბჭოთა მწერლობაში“. ხუთოსანმა მოსწავლემ ქეთევან ჩაჩანიძემ აირჩია თემა „ნ. ბარათაშვილის შემოქმედების ძირითადი მოტივები“. ამავე თემაზე წერითი ნამუშევრებში კარგი შეფასება მიიღეს ხუთოსანმა მოსწავლეებმა ლ. ქავთარაძემ, ლ. ჩხაიძემ, ნ. კარლაელამ. განსაკუთრებით გამოირჩევა ხუთოსანი მოსწავლის მ. გოგოლაძის ნამუშევარი. გამოცდებმა ქართულ ენასა და ლიტერატურაში ნათელყო, რომ აჭარის ასსრ სკოლის დამსახურებულ მასწავლებელს ნ. მაჭუტაძეს ნაყოფიერად უმუშავნია წლის განმავლობაში. კარგად შეასრულეს წერითი ნამუშევარი რუსულ ლიტერატურაში მეათე კლასელებმა (მასწავლებელი ა. აზნაურიანი). მათ დაწერეს ნაწყვეტი ტურგენევის „ბურმისტრიდან“.

წარმატებით ჩაიარა გამოცდებმა პირველ დღეს ქალთა მერვე, ვაჟთა პირველ, ქალთა მეორე, ქალთა მეცხრე სკოლებში.

წელს საქართველოს პედაგოგიურ ინსტიტუტებში

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს პედაგოგიური ინსტიტუტებისა და პედაგოგიური სასწავლებლების განაყოფილების ცნობით, წელს ჩვენი რესპუბლიკის პედაგოგიური ინსტიტუტები და სასწავლებლები გამოუშვებენ 3.800-მდე კურსდამთავრებულს. აქედან პედაგოგიური ინსტიტუტები 2.000-მდე კაცს, ამავე ინსტიტუტების დაუსწრებელი განყოფილებები —800-მდე და პედაგოგიური სასწავლებლები— 1.000-მდე კაცს.

სასწავლო წლის დასასრულს მოახლოებასთან დაკავშირებით დაწყებულია მზადება ახალი სასწავლო წლისათვის. წელს პედაგოგიურ ინსტიტუტებში ჩარიცხულ იქნება 2.200 კაცი, პედაგოგიურ სასწავლებლებში — 1.100 კაცი, ხოლო პედაგოგიური ინსტიტუტების დაუსწრებელი სწავლების განყოფილებებზე (თბილისსა და ქუთაისის ინსტიტუტებში) — 225 კაცი.

მზადდება და მალე გამოშვებულ იქნება უმაღლეს პედაგოგიურ სასწავლებლებში მიღების პირობები და საგამოცდო პროგრამები, ინსტიტუტებსა და პედაგოგიურ სასწავლებლებში მოეწყობა „ღია კარის“ დღეები, საშუალო სკოლებში კურსდამთავრებულებთან მოეწყობა საუბრები, ხოლო მისაღები გამოცდების პერიოდში ინსტიტუტებში დაწესებულ იქნება საკონსულტაციო საათები შემსვლელთათვის მითითებებისა და რჩევა-დარიგების მისაცემად.

პასუხი შეკითხვაზე

„შუა აღმოსავლეთის სარდლობის“ შესახებ

მეორე მსოფლიო ომის დამთავრების შემდეგ ამერიკელ-ინგლისელმა იმპერიალისტებმა დასავლეთსა და აღმოსავლეთში შექმნეს სამხედრო აგრესიული კავშირები, რომელთა მიზანია ახალი მსოფლიო ომის გაჩაღება.

ომის ამერიკელი და ინგლისელი გამჩაღებლები ყოველნაირად ცდილობენ ახალი ომის კერა შექმნან შუა აღმოსავლეთშიც. ამ მიზნების განხორციელებას ემსახურება ეგრეთწოდებული „შუა აღმოსავლეთის სარდლობის“ შექმნის ამერიკული გეგმა. საყურადღებოა, რომ „შუა აღმოსავლეთის სარდლობის“ გეგმის საფუძვლები ჩამოყალიბებულ იქნა ჩრდილოეთ ატლანტიკის კავშირის საბჭოს სესიაზე ოტავაში. ინგლისური გაზეთი „ობსერვერი“ აცხადებდა, რომ „შუა აღმოსავლეთის სარდლობა“ გააერთიანებს თურქეთს, ეგვიპტეს, არაბულ სახელმწიფოებს და ამერიკის შეერთებულ შტატებს...

„შუა აღმოსავლეთის სარდლობა“ ჩრდილოეთ ატლანტიკის კავშირის განუყოფელი ნაწილია. ამას მოწმობს თუნდაც ის, რომ „შუა აღმოსავლეთის სარდლობაში“ მთავარი როლი მიკუთვნებული აქვთ ჩრდილოეთ ატლანტიკის კავშირის ორგანიზატორ ქვეყნებს: ამერიკის შეერთებულ შტატებს, ინგლისს და საფრანგეთს, აგრეთვე თურქეთს, რომელიც ორივე აგრესიულ ბლოკში აქტიური მონაწილეა.

„შუა აღმოსავლეთის სარდლობის“ გეგმის ავტორები მიზნად ისახავენ შეინარჩუნონ და უფრო განამტკიცონ კოლონიური რეჟიმი შუა და ახლო აღმოსავლეთში, მოახდინონ შუა აღმოსავლეთის ქვეყნების სრული სამხედრო ოკუპაცია და გამოიყენონ ამ ქვეყნების ტერიტორია პლაცდარმად საბჭოთა კავშირსა და სახალხო დემოკრატიის ქვეყნებზე თავდასხმის განსახორციელებლად. ამერიკელ-ინგლისელ აგრესორებს ინტერესებთ საზარბაზნე ხორცად გაიყიყნონ შუა და ახლო აღმოსავლეთის ქვეყნების მოსახლეობა. მათ სურთ ხელში ჩაიგდონ ამ ქვეყნების ნედლეული და ბუნებრივი სიმდიდრე. 1951 წლის 14 ნოემბერს ეგვიპტის ყოფილმა პრემიერ-მინისტრმა ნაჰას-ფაშამ კაიროში გამართულ მასობრივ მიტინგზე აღნიშნა, რომ „შუა აღმოსავლეთის სარდლობის“ შექმნის გეგმა „კოლონიური პოლიტიკის ყველაზე უარესი სახეა“.

შემთხვევითი როდია, რომ სწორედ მაშინ, როცა ეგვიპტის პარლამენტი განიხილავდა ინგლის-ეგვიპტის 1936 წლის ხელშეკრულების დენონსაციის საკითხს, ოთხმა სახელმწიფომ: ამერიკის შეერთებულმა შტატებმა, ინგლისმა, საფრანგეთმა და თურქეთმა 1951 წლის ხელშეკრულების დენონსაციის ნა ეგვიპტეს, რათა ეს უკანასკნელი შესულიყო „შუა აღმოსავლეთის სარდლობაში“. ამით ამერიკელ იმპერიალისტებს სურდათ გაეკარწყლებინათ ეგვიპტის მოთხოვნა ინგლისის ჯარების გაყვანის შესახებ და სამუდამოდ უზრუნველეყოთ სუეცის არხის ოკუპაცია ინგლის-ამერიკის ბლოკის სახელმწიფოთა ჯარებით.

ეგვიპტემ უარყო წინადადება შეერთებოდა „შუა აღმოსავლეთის სარდლობას“. ამერიკელმა დიპლომატებმა გადაწყვიტეს სხვა ფანდი გამოეყენებინათ. გასული წლის 10 ნოემბერს ამერიკის შეერთებული შტატების, ინგლისის, საფრანგეთისა და თურქეთის მთავრობებმა გამოაქვეყნეს ერთობლივი დეკლარაცია „შუა აღმოსავლეთის სარდლობის“ „პრინციპების“ შესახებ, რომელიც მიზნად ისახავდა არაბული ქვეყნების მოტყუებას, თითქოს „შუა აღმოსავლეთის სარდლობა“ არ ჩაერევა ამ ქვეყნების საშინაო საქმეებში და მიზნად ისახავს მხოლოდ „ერთობლივი თავდაცვის“ მოწყობას. მაგრამ ეს ვარაუდები არ გამართლდა. არაბულ ქვეყნებზე რომ აღარაფერი ვთქვათ, ირანელმა ხალხმა სრული სოლიდარობა გამოუცხადა ეგვიპტელ ხალხს მის ბრძოლაში იმპერიალისტი დამპყრობლების წინააღმდეგ. რეზოლუციაში, რომელიც მიიღო ირანელ მშვიდობის მომხრეთა მიტინგმა, ნათქვამია, რომ „ირანელი ხალხი მტკიცედ მოითხოვს იმპერიალისტთა ჯარების დაუყოვნებლივ გაყვანას ეგვიპტიდან, სუდანიდან და ტუნისიდან. ირანის მთავრობამ და საერთაშორისო ორგანიზაციებმა უნდა დაიცვან ეგვიპტელი ძმების სუვერენიტეტის უფლება და მხარი დაუჭირონ მათ ანტიიმპერიალისტურ ბრძოლაში“. რეზოლუციაში დაგმობილია შუა აღმოსავლეთის ბლოკი და აღნიშნულია, რომ „ახლო და შუა აღმოსავლეთის ხალხები იბრძოლებენ შუა აღმოსავლეთის ყოველ ასეთ ბლოკში თავიანთი ქვეყნების ჩათრევის წინააღმდეგ“. 1951 წლის 14 ნოემბერს „ეროვნული ბრძოლის დღეს“ კაიროში გამართული დემონსტრაცია ჩატარდა ლოზუნგით: „ძირს შუა აღმოსავლეთის სარდლობა!“.

საბჭოთა კავშირმა თავის ნოტაში ეგვიპტის, სირიის, ლიბანის, ერაყის, საუდის არაბეთის, იემენისა და ისრაელის მთავრობებისადმი, 1951 წლის 21 ნოემბერს, სასტიკად ამხილა „შუა აღმოსავლეთის სარდლობის“ შექმნის მთავარი მიზნები და გააფრთხილა ამ ქვეყნების მთავრობები, რომ აღნიშნულ სამხედრო ბლოკში ამ ქვეყნების მონაწილეობა უდიდეს ზიანს მოუტანდა მშვიდობის საქმეს შუა აღმოსავლეთში და ავნებდა სსრ კავშირსა და ამ ქვეყნებს შორის არსებულ ურთიერთობას.

სსრ კავშირის მთავრობის 24 ნოემბრის ნოტაში ამერიკის შეერთებული შტატების, დიდი ბრიტანეთის, საფრანგეთისა და თურქეთის მთავრობებისადმი აღნიშნული იყო, რომ „შუა აღმოსავლეთის სარდლობის“ შექმნის ორგანიზატორები მიზნად ისახავენ 1) ახლო და შუა აღმოსავლეთის ქვეყნების შეიარაღებული ძალების დამორჩილებას ეგრეთწოდებული სამკავშირეო სარდლობისადმი; 2) ახლო აღმოსავლეთისა და შუა აღმოსავლეთის ქვეყნების ტერიტორიაზე უცხოელთა შეიარაღებული ძალების განლაგებას; 3) ახლო აღმოსავლეთისა და შუა აღმოსავლეთის ქვეყნების მიერ სამხედრო ბაზების, კომუნიკაციების, ნავსადგურებისა და სხვა ნაგებობათა გადაცემას ხსენებული სარდლობის განკარგულებაში; 4) ამ სარდლობის მიერ კავშირის დამყარებას ატლანტიკის ბლოკის ორგანიზაციასთან.

ახლო და შუა აღმოსავლეთის ქვეყნებს არავინ არ ეშიქრება, გარდა ამერიკელი და ინგლისელი იმპერიალისტებისა, რომელთა მთავარ მიზანს შეადგენს ამ ქვეყნების სრული დამორჩილება და გაძარცვა. იმპერიალისტები ცინიკურად აცხადებენ, რომ შუა აღმოსავლეთის სარდლობა იქმნება როგორც „ნებაყოფლობითი ერთობლივი თავდაცვის ორგანიზაცია“. სინამდვილეში შუა აღმოსავლეთის სარდლობის შექმნის გეგმა წარმოადგენს იმ იმპერიალისტური გეგმების შემდგომ განვითარებას, რომლებიც 1950 წლის მაისში გამოცხადებული იყო ამერიკის შეერთებული შტატების, ინგლისისა და საფრანგეთის მთავრობების მიერ არაბული ქვეყნებისა და ისრაელისადმი მათი დამოკიდებულების საკითხზე. მომდინარე წლის იანვარში ვაშინგტონში ტრუმენი და ჩერჩილი შეთანხმდნენ შუა აღმოსავლეთის სარდლობის შექმნის შესახებ. მათ განცხადებაში პირდაპირ ნათქვამია: „ჩვენი მიზნების მიღწევისათვის მნიშვნელოვნად მიგვაჩნია, რომ უახლოეს ხანში შეიქმნას სამოკავშირეო სარდლობა შუა აღმოსავლეთში“.

როგორც ცნობილია, ეგრეთწოდებულ „ნებაყოფლობითი ერთობლივი თავდაცვის ორგანიზაციაში“ ჯერჯერობით, თურქეთის გარდა, ახლო და შუა აღმოსავლეთის ქვეყნებიდან არც ერთი არ არის ჩართული. გაზეთი „ნიუ-იორკ ტაიმსიც“ კი შიშს გამოთქვამდა, რომ „შუა აღმოსავლეთის სარდლობა“ საბოლოო ანგარიშით დამარცხდება, თუ ამ რაიონის ხალხთა მხარდაჭერა ვერ მიიღო. ახლა ყველასათვის ცხადია, რომ „შუა აღმოსავლეთის სარდლობის“ შექმნის გეგმამ მხარდაჭერა ვერ ჰპოვა აღმოსავლეთის ქვეყნებში და სამარცხვინო კრახი განიცადა.

საბჭოთა კავშირის ბრძნულმა საგარეო პოლიტიკამ ჩაშალა შუა აღმოსავლეთში აგრესიული ბლოკის შექმნის გეგმა. სსრ კავშირის სამშვიდობო საგარეო პოლიტიკა მიმართულია იქითკენ, რათა არ დაუშვას შუა აღმოსავლეთში ანტისაბჭოთა აგრესიული ბლოკის შექმნა.

ამერიკელმა იმპერიალისტებმა კარგად უნდა იცოდნენ, რომ ვერავითარი სამხედრო ბლოკებისა და სარდლობების შექმნით ვერ დაძლევენ მსოფლიოს მშვიდობისმოყვარე ხალხთა ბრძოლას და მისწრაფებას მთელ მსოფლიოში მტკიცე და ხანგრძლივი მშვიდობის დამყარებლად.

ჯ. ლომაშვილი

მშვიდობის დაცვის სრულიად ბირმის კონგრესი

პეკინი, 19 მაისი. (საკდესი). სინხუას საგენტო იუწყება:

რანგუნიდან გადმოცემულ ცნობაში ნათქვამია, რომ 400-ზე მეტი კაცი — ბირმის სხვადასხვა რაიონისა და ეროვნულ უმცირესობათა წარმომადგენლები—დაესწრო მშვიდობის დაცვის სრულიად ბირმის კონგრესს, რომელიც 10-დან 12 მაისამდე მიმდინარეობდა რანგუნში.

გახსნა რა კონგრესი, მშვიდობის მომხრეთა სრულიად ბირმის ასოციაციის მდივანმა განაცხადა, რომ „მშვიდობის დაცვისა და ამერიკის აგრესიის წინააღმდეგ ბრძოლის ჩინეთის სახალხო კომიტეტის წარმომადგენელი ვერ დაესწრო კონგრესს, რადგან ინგლისელმა ხელისუფლებმა ჰონკონგში არ მისცეს მას სატრანზიტო ვიზა. კონგრესის მონაწილეებმა მრისხანე პროტესტი განაცხადეს ინგლისელ იმპერიალისტთა ამ თვითნებური მოქმედების წინააღმდეგ.

მშვიდობის მომხრეთა სრულიად ბირმის ასოციაციის თავმჯდომარემ ტაკინ ლუინმა, რომელმაც მოხსენება გააკეთა ბირმაში მშვიდობისათვის ბრძოლის შესახებ, ხაზგასმით აღნიშნა, რომ ამერიკის იმპერიალიზმი აშკარად ახორციელებს იაპონიის ხელახალ შეიარაღებას და ეწევა ბაქტერიოლოგიურ ომს კორეასა და ჩინეთში. ტაკინ ლუინმა მოუწოდა ყველა ბირმელს გაერთიანდნენ და დაიარაზმონ მშვიდობის დასაცავად.

კონგრესის ბევრმა მონაწილემ ილაპარაკა იმაზე, რომ საჭიროა მშვიდობის მომხრეთა მოძრაობის გაფართოება ბირმაში, რითაც გამოხატა ბირმელი ხალხის მტკიცე გადაწყვეტილება დაიცვას მშვიდობა მთელ მსოფლიოში.

კონგრესმა მიიღო რეზოლუცია, რომელიც მიმართულია იმპერიალისტების მიერ აზიაში სამხედრო ბაზების შექმნის წინააღმდეგ, უარყოფს იმპერიალისტების ყოველგვარ „დახმარებას“ ბირმისადმი, ალაშქრებს ამერიკელების მიერ იაპონიისათვის თავსმოხვეული სეპარატული „საზავო ხელშეკრულების“ წინააღმდეგ, კორეაში ამერიკელი იმპერიალისტების შეჭრისა და იმ ცდების წინააღმდეგ, რომ ჩაფუშონ მოლაპარაკება დაზავების შესახებ, აგრეთვე ამერიკელი იმპერიალისტების მიერ წარმოებული ბაქტერიოლოგიური ომის წინააღმდეგ. მიღებულ რეზოლუციებში აგრეთვე გამოხატულია თანაგრძნობა და მხარდაჭერა აზიისა და შუა აღმოსავლეთის კოლონიური და დამოკიდებული ქვეყნების ხალხთა ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლისადმი და ატომური იარაღის აკრძალვის მოთხოვნა.

კონგრესის დახურვის მეორე დღეს რანგუნში გაიმართა დემონსტრაცია კონგრესის გადაწყვეტილებათა მხარდაჭერის ნიშნად.

მშვიდობის მომხრეთა სრულიად პაკისტანის კონფერენცია

კარაჩი, 19 მაისი. (საკდესი). 17 და 18 მაისს ლაჰორში მიმდინარეობდა მშვიდობის მომხრეთა სრულიად პაკისტანის კონფერენცია. როგორც გაზეთი „დონი“ იუწყება, „კონფერენციაზე მოხსენება გააკეთა მშვიდობის დაცვის ლაჰორის კომიტეტის თავმჯდომარემ სეიდ მუტალაბი ფარიდაბადიმ. მან თქვა, რომ ხუთდიდ სახელმწიფოს შორის მშვიდობის პაქტის დადების შესახებ მშვიდობის მსოფლიო საბჭოს მიმართვაზე ხელმოწერის შეგროვების კამპანიამ, რომელიც ამას წინათ მოეწყო, ცხოველი გამოხმაურება ჰპოვა პაკისტანში. მარტო დასავლეთ პაკისტანში შეგროვებულ იქნა 100 ათასზე მეტი ხელმოწერა. ფარიდაბადიმ აღნიშნა, რომ საჭიროა შეიქმნას მშვიდობის დაცვის სრულიად პაკისტანის კომიტეტი.

კონფერენციის მონაწილეებმა მიიღეს გადაწყვეტილება შეიქმნას მშვიდობის დაცვის სრულიად პაკისტანის კომიტეტი და ამ კომიტეტის თავმჯდომარედ აირჩიეს პირ მანკი შარიფი, ხოლო გენერალურ მდივნად — პროფესორი სამსამულხანი.

კონფერენციის მონაწილეებმა მიიღეს რეზოლუციები, რომლებშიც მკვეთრად დაგმეს ფრანგი იმპერიალისტების დანაშაულობანი ტუნისში და მოსთხოვეს პაკისტანის მთავრობას წარადგინოს ეს საკითხი უშიშროების საბჭოს განსახილველად.

კონფერენციამ ერთხმად მოიწონა მშვიდობის მსოფლიო საბჭოს რეზოლუცია „შუა და ახლო აღმოსავლეთისა და ჩრდილოეთ აფრიკის შესახებ“, რაც მიღებულ იქნა მშვიდობის მსოფლიო საბჭოს ვენის სესიაზე.

მშვიდობის მომხრეთა მიტინგი ლონდონში

ლონდონი, 19 მაისი. (საკდესი). გუშინ მშვიდობის მომხრეთა სრულიად ინგლისის კონფერენციის დახურვის შემდეგ ცენტრალურ ლონდონში გაიმართა მიტინგი, რომელზეც შექსპირის პიესების როლების ცნობილმა შემსრულებელმა მარკ დიგნემმა გამოაქვეყნა ინგლისელი ხალხისადმი კონფერენციაზე მიღებული მმართველი. შემდეგ გამოვიდა მშვიდობის დაცვის ინგლისის კომიტეტის პრეზიდენტი დ. ნ. პრიტი, რომელმაც ილაპარაკა კომიტეტისა და მშვიდობის მომხრეთა სრულიად ინგლისის კონფერენციის მუშაობაზე.

მიტინგზე გამოვიდნენ აგრეთვე მეხანძრეთა პროფკავშირის თავმჯდომარე ჯონ ბერნსი, მაღაროელთა ეროვნული პროფკავშირის გენერალური მდივანი არტურ ჰორნერი და ქ-ნი ჯესი ჯოისი — მშვიდობის დაცვის ლონდონის საბჭოს დელეგატი ბავშვთა დაცვის ვენის საერთაშორისო კონფერენციაზე.

მიტინგის მონაწილენი წაიდნენ საპყრობილისაკენ, სადაც დაპატიმრებულია ქ-ნი პატ სირსი, რომელიც მსჯავრდადებულია იმის გამო, რომ საჯაროდ განაცხადა პროტესტი კინოფილმში ფაშისტი გენერლის რომმელის ჭეშმ-დიდების წინააღმდეგ, და მოითხოვეს ქ-ნ პატ სირსის განთავისუფლება.

სამხედრო „საერთო ხელშეკრულების“ წინააღმდეგ. გერმანიის ერთიანობისათვის

გერმანელთა ურთიერთგაგებისა და სამართლიანი საზავო ხელშეკრულების კონგრესის მოწოდება

ბერლინი, 19 მაისი. (საკდესი). როგორც დ-ის სააგენტო დიუსელდორფიდან იუწყება, გერმანელთა ურთიერთგაგებისა და სამართლიანი საზავო ხელშეკრულების კონგრესის პრეზიდიუმმა დასავლეთ გერმანიის მოსახლეობას მიმართა მოწოდებით — იბრძოლოს „საერთო ხელშეკრულების“ დადების წინააღმდეგ და მიაღწიოს გერმანიასთან სამართლიანი საზავო ხელშეკრულების დადებას.

დიუსელდორფში კონგრესის პრეზიდიუმის სხდომაზე მიღებულ და დასავლეთ გერმანიის საზოგადოებრივი ცხოვრების 85 გამოჩენილი მოღვაწის მიერ ხელმოწერილ მოწოდებაში ნათქვამია:

„საერთო ხელშეკრულების“ ხელმოწერით და ევროპოწოდებულ ევროპის თავდაცვის ჯგუფში, ხოლო ამით ატლანტიკის კავშირში დასავლეთ გერმანიის შესვლით ცდილობენ განუსაზღვრელი დროით გახდონ შეუძლებელი გერმანიის ერთიანობის აღდგენა და მთელ გერმანიასთან სამართლიანი საზავო ხელშეკრულების დადება. მაგრამ გერმანიის გათიშვას და ყველა მის მძიმე შედეგს პოლიტიკური, ეკონომიური და კულტურული ცხოვრების დარგებში მოჰყვება მესამე მსოფლიო ომი და ამით გერმანელთა შორის ძმათამკვლელი ომი.

შეიარაღებით გამოწვეული ეკონომიური გაჭირვების სიმძიმე ძლიერ შეუშლის ხელს გერმანელთა სამშვიდობო ეკონომიკის მშენებლობას. ასიგნებანი, რომლებიც გადაუდებლად საჭიროა აუტანელი სოციალური გაჭირვების აღმოსაფხვრელად, აგრეთვე კულტურულ ღონისძიებთა განსახორციელებლად, კვლავ მცირდება და ამავე დროს ვერ უზრუნველყოფს ჩვენი ერის უშიშროებას.

გერმანიის ერთიანობის აღდგენა და სამართლიანი საზავო ხელშეკრულებას დადება მთელი გერძახიის სუვერენული და თანასწორუფლებიანი წარმომადგენლობის მონაწილეობით პირველ ადგილზე უნდა იყოს და პრიორიტეტი ჰქონდეს ყველა სხვა იმ სახელშეკრულებო ვალდებულების წინაშე, რომლებსაც გერმანიის ერთი ნაწილი კისრულობს უცხო სახელმწიფოთა მიმართ.

საბჭოთა კავშირის 1952 წლის 10 მარტისა და 9 აპრილის ნოტები გერმანიასთან საზავო ხელშეკრულების შინაარსისა და გერმანიის ერთიანობის აღდგენის შესახებ ცხადყოფენ, რომ არსებობს გერმანიის გაერთიანებისა და ამით მშვიდობის შენარჩუნების შესაძლებლობა.

ახლა ხალხმა უნდა გამოთქვას თავისი ნება და განახორციელოს თავისი საკუთარი ბედის თვითგამორკვევის უფლება. ახლა უნდა ეკითხოს ხალხს, ახლა საქმე ეხება იმას, რომ მიღებულ იქნას გადაწყვეტილება: გერმანიის ერთიანობისა და სამართლიანი საზავო ხელშეკრულებისათვის — „საერთო ხელშეკრულების“ წინააღმდეგ, ხანგრძლივი გათიშვისა და ომის წინააღმდეგ!“.

მამართვა მთავრდება სიტყვებით: „საქმე ეხება თვითეული გერმანელის სიცოცხლესა და ბედნიერებას. საქმე ეხება ჩვენი ერის მომავალს. იბრძოლეთ მთელ მსოფლიოში მშვიდობის შენარჩუნებისათვის! გაერთიანდით გადამწყვეტი მოქმედებისათვის!

ჩვენ გვსურს სამართლიანი საზავო ხელშეკრულება და არ გვინდა „საერთო ხელშეკრულება!“.

ამერიკის შეერთებული შტატების კომუნისტური პარტიის ეროვნული კომიტეტის თავმჯდომარის ფოსტერის განცხადება

ნიუ-იორკი, 19 მაისი. (საკდესი). ამერიკის შეერთებული შტატების კომუნისტური პარტიის ეროვნულმა კომიტეტმა პრესაში გამოსაქვეყნებლად გადასცა განცხადება, რომელიც კომპარტიის ეროვნული კომიტეტის თავმჯდომარემ უილიამ ფოსტერმა გაგზავნა წარმომადგენელთა პალატის შეიარაღებული ძალების სამეთაო კომისიაში. განცხადებაში დაგმობილია სმიტის ანტიმუშური კანონპროექტი. ამ კანონპროექტის მიზანია, ნათქვამია განცხადებაში, წაართვას ამერიკელ მუშებს მათი ძირითადი უფლება—გაფიცვის უფლება. ეს კანონპროექტი „არსებულ პროფკავშირებს გადაქცევს მთავრობისა და კომპანიების კონტროლს დაქვემდებარებულ ორგანიზაციებად, როგორიც ჰიტლერმა და მუსოლინიმ შექმნეს“. როგორც ტრუმენის მიერ რკინგზაგზისა და ფოლადდნობის მრეწველობისადმი დაწესებული კონტროლი, ისე ეს კანონპროექტი „ნაწილია პოლიციურ სახელმწიფოდ შეერთებული შტატების გადაქცევის საერთო ტენდენციისა, რომელიც სულ უფრო ძლიერდება“.

„სმიტის კანონპროექტი, რომელიც მიმართულია პროფკავშირების წინააღმდეგ, — აცხადებს შემდეგ ფოსტერი, — გაეღენთილია სმიტის 1940 წლის კანონის რეაქციული სულისკვეთებით, კანონისა, რომლის საფუძველზეც ახლა კომუნისტებს დიდ ჯგუფებად ასამართლებენ და საპყრობილეში ამწყვდევენ. ორივე კანონი ერთი და იგივე მიზნით დაწერა ბ-ნმა სმიტმა, სახელდობრ იმ მიზნით, რომ გზა გაეწმინდა ორგანიზებული რეაქციისათვის შეერთებულ შტატებში... სმიტის კანონპროექტი მიმართულია უოლ-სტრიტის იმპერიალიზმის საომარი მიზნების განხორციელებისაკენ“.

ფოსტერმა აღნიშნა, რომ ამერიკელი ხალხის უდიდესი მასები მშვიდობასა და დემოკრატიას ესწრაფვიან და ომი გარდუვალად არ მიაჩნიათ, და თქვა: „მონოპოლისტები თავიანთ პოლიტიკას საფუძვლად უდებენ მოსაზრებას, რომ დემაგოგიური მატყუარობით და იდეოლოგიური დაშინებით უნდა აიძულონ და კიდეკიც შეიძლება აიძულონ მშვიდობისმოყვარე ამერიკელი ხალხი შეურიგდეს მონოპოლისტური კაპიტალის პროგრამას, რომლის მიზანია ექსპლოატაციის გაძლიერება, თუმცა ხალხს ეს არა სურს. ეს არის ძირითადი მიზანი სმიტის კანონპროექტისა, რომელიც მიმართულია გაფიცვების წინააღმდეგ, სმიტის კანონისა ტაფტ-ჰარტლის კანონისა მონუარი შრომის შესახებ, მაკარენის კანონისა საკონცენტრაციო ბანაკების შესახებ... ასეთია მიზანი ახლანდელი აბსოლუტურად გაუმართლებელი სტატუსის — „ჩვენს ქვეყანაში საგანგებო წესებისა“, რომელიც კიდევ უფრო უმაგრებს წელს ჩვენი ქვეყნის ყველა რეაქციონერს“. ფოსტერი მოუწოდებს ამმრჩევლებს გააშვონ პრეზიდენტობის ყველა კანდიდატი, რომელიც მხარს უჭერს სმიტის კანონპროექტს.

კორეის ამბები

კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის სახალხო არმიის მთავარსარდლობის ცნობა

ფხენიანი, 19 მაისი. (საკდესი). კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის სახალხო არმიის მთავარსარდლობის დღევანდელ ცნობაში ნათქვამია, რომ სახალხო არმიის შენაერთები ჩინელ სახალხო მოხალისეთა ნაწილებთან მჭიდრო თანამოქმედებით განაგრძობენ თავდაცვითს ბრძოლებს მტრის წინააღმდეგ და ზარალს აყენებენ მას ცოცხალი ძალისა და ტექნიკის მხრივ.

დღეს სახალხო არმიის საზენიტო ნაწილებმა და მტრის თვითმფრინავების გამანადგურებელმა შსროლელებმა ჩამოაგდეს მოწინააღმდეგის 3 თვითმფრინავი, რომლებიც მონაწილეობდნენ მშვიდობიანი დასახლებული პუნქტების დაბომბვაში.

ლისინმანელ ჯარისკაცთა და ოფიცერთა ჯგუფი კორეის სახალხო არმიის მხარეზე გადავიდა

ფხენიანი, 19 მაისი. (საკდესი). ფხენიანის რადიოს ცნობით, ლისინმანელთა არმიის ოფიცერთა და ჯარისკაცთა შორის ძლიერდება უკმაყოფილება დაპყრობითი ომის გამო, რომელსაც ამერიკელი იმპერიალისტები და კორეელ გამცემთა ხროვა აწარმოებენ.

ამას წინათ ფრონტის ხაზზე გადმოვიდა ლისინმანელთა არმიის მე-7 დივიზიის ოფიცერთა და ჯარისკაცთა ჯგუფი ერთ-ერთი ბატალიონის მეთაურ კიმ ოკთან ერთად. ფხენიანში მათ მხურვალე შეხვედრა მოუწყეს ქალაქის დაწესებულებისა და ორგანიზაციების წარმომადგენლებმა, დედაქალაქის მშრომელებმა და სახალხო არმიის მეომრებმა.

ფხენიანელთა მისალმების საპასუხოდ გამოვიდა ბატალიონის ყოფილი მეთაური კიმ ოკი. მან თქვა, მიხარია და ბედნიერად ვთვლი თავს, რომ მივატოვე ლისინმანელ გამცემთა ხროვასთან ბინძური სამსახური და მტკიცედ მაქვს გადაწყვეტილი თავდადებით ვიბრძოლო სამშობლოსა და ხალხისათვისო.

შეკითხვები ინგლისის თემთა პალატაში კორეის შესახებ

ლონდონი, 20 მაისი. (საკდესი). დღეს თემთა პალატაში ბევრმა ლეიბორისტმა უკმაყოფილება გამოთქვა იმის გამო, რომ კორეაში დაზავებაზე მოლაპარაკება ჭიანურდება, რადგან ამერიკელები უარს ამბობენ კორეის სახალხო არმიის სამხედრო ტყვე ჯარისკაცებისა და ჩინელ სახალხო მოხალისეთა მნიშვნელოვანი რაოდენობის რეპატრიაციაზე.

ლეიბორისტმა სიდნეი სილვერმენმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ, როგორც საერთაშორისო წითელი ჯვრის კომისიის მოხსენებიდან ჩანს, კუნძულ კოჯედოზე ეგრეთწოდებული „გამოკითხვის“ დროს სამხედრო ტყვეებს მიშვერილი ჰქონდათ ტყვიამფრქვევი. სილვერმენმა დასძინა: „შეიარაღებული ჯარისკაცები შეიყვანენ ბანაკში და ძალის გამოყენებით დაანწყვლეს ტყვეები ჯგუფ-ჯგუფად გამოსაკითხავად. განა ეს არ აქარწყლებს იმ მტკიცებას, რომ თითქოს გამოკითხვა სამართლიანად მოხდა?“.

მსოფლიო საზოგადოებრიობა პროგრესს აცხადებს ამერიკელ აგრესორთა მხეცობის წინააღმდეგ

ჩეხოსლოვაკია

პრაღა, 19 მაისი. (საკდესი). ჩეხოსლოვაკიის ხალხის გულისწყრომას და აღშფოთებას იწვევს ჩეხოსლოვაკიის გაზეთების მიერ გამოქვეყნებული და რადიოთი გადაცემული ცნობები იმის შესახებ, რომ კუნძულ კოჯედოზე (სამხრეთ კორეა) ამერიკელი აგრესორები ხოცავენ კორეის სახალხო არმიის ტყვე მეომრებსა და ტყვე ჩინელ სახალხო მოხალისეებს.

ჩეხოსლოვაკიის პროფკავშირთა ცენტრალური ორგანო გაზეთი „პრაცე“ სტატიაში სათაურით: „ჯოჯოხეთი სამხედრო ტყვეთა ბანაკში კუნძულ კოჯედოზე“ ამხილებს ამერიკელ ინტერვენტებს, რომლებიც „შერჩევის“ სახით ცდილობენ დაიკავონ 100 ათასზე მეტი სამხედრო ტყვე.

გაზეთის მოჰყავს მრავალი ფაქტი, რომელიც მოწმობს, თუ რა მხეცურად ეპყრობიან ამერიკელი აგრესორები სამხედრო ტყვეებს კუნძულ კოჯედოზე, და ამ ფაქტებს უპირისპირებს ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტის ტრუმენის თვალთმაქცურ განცხადებას, თითქოს ამერიკელი ინტერვენტები კორეაში „ჰუმანურ“ მიზნებს ისახავენ.

პოლონეთი

ვარშავა, 18 მაისი, (საკდესი). ამერიკელი აგრესორების მიერ კუნძულ კოჯედოზე სამხედრო ტყვეების დახოცვამ პოლონელი ხალხის მრისხანე პროტესტი გამოიწვია. გაზეთი „ტრიბუნა ლუდუ“ წერს, რომ ამერიკელ ინტერვენტთა დანაშაული კუნძულ კოჯედოზე თავისი სისასტიკით სჯარბობს ჰიტლერელთა ბოროტმოქმედებებს.

კუნძულ კოჯედოს ამბებს, წერს გაზეთი, განსაკუთრებული მნიშვნელობა ეძლევა ამერიკელების იმ ცდასთან დაკავშირებით, რომ ჩაშალონ მოლაპარაკება პანმუნჯონში და შეუძლებელი გახადონ კორეაში მშვიდობის დამყარება, აგრეთვე ამერიკის შეერთებული შტატების უსინდისო წინადადებასთან დაკავშირებით, რომ „შერჩევის“ საბაბით ძალით დააკავონ 100 ათასზე მეტი კორეელი და ჩინელი სამხედრო ტყვე, რათა სამუდამოდ გადააქციონ ისინი ამერიკელი იმპერიალისტების მონებად.

კუნძულ კოჯედოზე სამხედრო ტყვეთა მკვლელები, განაგრძობს გაზეთი, ის ადამიანები არიან, რომლებმაც თავიანთი ბანაკშაულებრივი გეგმების განხორციელების ამაო იმედით ხელი ჩასვიდეს მთელი მსოფლიოს მიერ დაგმობილ ბაქტერიოლოგიურ იარაღს. როგორც ბაქტერიოლოგიურმა ომმა, ისე სამხედრო ტყვეთა ბანაკში სისხლისღვრამ საყოველთაო აღშფოთება გამოიწვია. ყველა პატიოსანი ადამიანი მტკიცედ მოითხოვს ბოლო მოეღოს ინტერვენტთა ბარბაროსობას.

ინგლისი

ლონდონი, 18 მაისი. (საკდესი). ეხება რა იმას, რომ ამერიკელები უარს ამბობენ კორეაში სამხედრო ტყვეების რეპატრიაციაზე, „რეინოლდს ნიუსის“ რედაქტორი ვრცელ სტატიაში წერს: „ჩვენ ძალიან სერიოზული ფიქრი გვმართებს, სანამ დავეთანხმებოდეთ იმას, რომ ამ სამხედრო ტყვეების ბედის საკითხმა სრულიად გააქარწყლოს შეთანხმების გზით მოწესრიგების იმედი. ჩემი აზრით, ჩვენ ვიკავებთ პოზიციას, რომელიც ეყრდნობა მანკიერ კანონებს, საეკვო ჰუმანიზმსა და არასწორ ფაქტებს...“

სტატიაში ნათქვამია, რომ კუნძულ კოჯედოს ამასწინანდელმა ამბებმა გააქარწყლეს რწმენა ამერიკული ვერსიისადმი იმის შესახებ, რაც იქ ხდება, აგრეთვე „შერჩევის“ მეთოდისადმი, რომელსაც ამერიკელები იყენებენ.

„დოდისა და კოლსონის ეპიზოდის შემდეგ, — წერს „რეინოლდს ნიუსის“ რედაქტორი, — დაუჯერებელია ამერიკელების მტკიცება, რომ სამხედრო ტყვეებს არ სურთ დაბრუნდნენ სამშობლოში“.

„ობსერვერის“ სპეციალური კორესპონდენტი, რომელიც ამას წინათ დაბრუნდა კორეიდან, წერს, რომ ამერიკელების ხელში მყოფ ყველა სამხედრო ტყვეს საფრთხე მოელის.

საფრანგეთის რესპუბლიკის საბჭოს არჩევნები

პარიზი, 19 მაისი. (საკდესი). დღეს გამოქვეყნდა საფრანგეთის პარლამენტის მეორე პალატის — რესპუბლიკის საბჭოს არჩევნების შედეგები მეტროპოლიის 36 დეპარტამენტში. აფასებს რა ამ შედეგებს, პარიზის ყველა დღევანდელი გაზეთი აღნიშნავს, რომ სერიოზულად დამარცხდა ფაშისტური დეგოლელთა პარტია „ფრანგი ხალხის გაერთიანება“, რომელმაც ხმების 29,2 პროცენტი დაკარგა წინანდელ არჩევნებთან შედარებით.

ამავე დროს არჩევნებმა ცხადყო რეაქციულ პოლიტიკურ დაჯგუფებათა ეგრეთწოდებულ „დამოუკიდებელთა“ და „გლეხთა პარტიის“ პოზიციების ერთგვარი განმტკიცება, რომლებიც მხარს უჭერენ საფრანგეთის მთავრობის ახლანდელი მეთაურის პინეის პოლიტიკას. მაგრამ ძირითადად რესპუბლიკის საბჭოს შემადგენლობა უცვლელი დარჩა.

მიუხედავად იმისა, რომ საფრანგეთის რეაქცია ყოველნაირად ცდილობდა დაემარცხებინა არჩევნებში კომუნისტური პარტია, მან ეს ვერ მოახერხა. ამ შემთხვევაში არ გაჭრა ანტიდემოკრატიულმა საარჩევნო კანონმა, რომლითაც დაწესებულია მაჟორიტარული სისტემა და რეაქციული პარტიების ბლოკირება კომუნისტური პარტიის კანდიდატების საწინააღმდ. როგორც გაზეთი „სე სუარი“ იუწყება, კომუნისტურმა პარტიამ რესპუბლიკის საბჭოში შეინარჩუნა 15-ვე ადგილი, რომლებიც მას ახლანდელ არჩევნებამდეც ჰქონდა.

საფრანგეთის ზოგიერთ ზღვისიქითა სამფლობელოში არჩევნების ცნობები ჯერ კიდევ არ არის მიღებული.

თბილისი. აბრეშუმის ფაბრიკის ახალი საამქროს ხედი.

ფოტო ვ. გინზბურგისა

სემინარები აქტივისათვის

თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომმა გადაწყვიტა ადგილობრივი საბჭოების მუშაკთა კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით თბილისის რაიასბჭოებთან მოაწყოს აქტივის, რაიასბჭოების ინსტრუქტორების, მუდმივ კომისიათა თავმჯდომარეების, სასოფლო საბჭოს, აღმასკომების თავმჯდომარეებისა და მდივნების სემინარები.

სემინარები შედგება თვეში ერთხელ. წაკითხული იქნება ლექციები მარქსიზმ-ლენინიზმის საფუძვლების, სსრ კავშირისა და საქართველოს სსრ კონსტიტუციის, მუდმივი კომისიების მუშაობის, ადგილობრივი საბჭოების სესიების მოწყობის, აღმასკომის სხდომათა ოქმების გაფორმების, საბჭოების საკანცელარიო მუშაობისა და მთელი რიგი სხვა აქტუალური საკითხების შესახებ.

სემინარების მუშაობის ხელმძღვანელობა და კონტროლი დაკისრებული აქვთ რაიასბჭოების თავმჯდომარეებს.

სხვადასხვა ამბები

○ **ალექსანდრე ჯაფარიძის სახელობის** ალპურ კლუბში (ციროვის სახელობის პარკში) ხუთშაბათს, 22 მაისს, საღამოს 8 საათზე შედგება ალპინისტების სხდომა, რომელზეც სპორტის ოსტატი პ. ასტახიშვილი გააკეთებს მოხსენებას საქართველოში სსრ კავშირის ალპინისტთა ნიშნოსნების მომზადების პირობების შესახებ.

○ **16 მაისს ორჯონიკიძის სახელობის** მასობრივმა ბიბლიოთეკამ ტრამვაი-ტროლეიბუსის სამმართველოს მეორე რაიონის მუშათა კლუბში გამართა მკითხველთა კონფერენცია, რომელიც მიეძღვნა საბჭოთა პატრიოტიზმის თემატიკაზე დაწერილ მხატვრულ-ლიტერატურულ ნაწარმოებთა გარჩევას. კონფერენციას, მუშა მკითხველებს გარდა დაესწრნენ პოეტები და მწერლები.

○ **თბილისის საქალაქო საბჭოს** აღმასკომმა 13.781.000 მანეთი გადადო დედაქალაქის კომუნალური მეურნეობის შემდგომი კეთილმოწყობის სამუშაოთა შესასრულებლად.

○ **კარლ მარქსის მოედანზე შეუდგნენ** მუშაობას განათების ქსელის გასაფართოებლად და მაღაზიების ვიტრინებში დღის სინათლის შეუკავებლობის მოსაწყობად.

სპექტაკლები კოლმეურნეობებში. მშენებლობებზე

სტალინირი. (საკ. კორ.). სტალინირის კ. ხეთაგუროვის სახელობის თეატრის ქართული და ოსური კოლექტივები ხშირად აწყობენ წარმოდგენებს ოლქის რაიონულ ცენტრებში, კოლმეურნეობებში, ახალშენებლობებზე.

ამას წინათ თეატრის ოსურმა კოლექტივმა (ხელმძღვანელი გ. კაბისოვი) ჯაველ მაყურებლებს უჩვენა დ. თუაევის პიესა „სასიძეები“. ქართულმა კოლექტივმა (ხელმძღვანელი გ. პატარიძე) ვანათის არხის მშენებლებს უჩვენა ი. ჭავჭავაძის „თბილისელი ქალიშვილი“.

სპექტაკლები მაყურებელმა გულთბილად მიიღო.

სასამართლო ქრონიკა

ქურდობისათვის ეთერ ანტონის ასულ მერაბოვას მერიას რაიონის მეოთხე უბნის სახალხო სასამართლომ მიუსაჯა 7 წლით შრომა-გასწორების ბანაკში პატიმრობა და სასჯელის მოხდის შემდეგ 2 წლის ვადით საარჩევნო ხმის უფლების ჩამორთმევა, ხოლო ნაქურდალის გასაღებისათვის გრიგოლ აკოფის-ძე აკოფიანს — თავისუფლების აღკვეთა 2 წლის ვადით.

პ. ბერაძე—ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი

დოცენტმა პ. ბერაძემ სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში დაიცვა სადოქტორო დისერტაცია — „ბერძნული დაქტილური ჰეგზამეტრის ქართული სწყისები“.

სსრ კავშირის უმაღლესი განათლების სამინისტროს უმაღლესმა სატატუტაციო კომისიამ დოცენტი პ. ა. ბერაძე დაამტკიცა ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორის ხარისხში.

პურის სავაჭრო მორიგე მაღაზიები

მომხმარებელთა მომსახურების გაუმჯობესების მიზნით თბილისში მთელი რიგი პურის საკავჭრო მაღაზიებისათვის თბილპურეაჭრობამ დაიწესა გახანგრძლივებული სავაჭრო დრო — ღილის 9 საათიდან ღამის 12 საათამდე.

პურის სავაჭრო მორიგე მაღაზიებია: მე-13 მაღაზია საბჭოს ქუჩაზე № 214, 39-ე მაღაზია პლეხანოვის პროსპექტზე № 185, 54-ე — პლეხანოვის პროსპექტზე № 10, მე-80 — რუსთაველის პროსპექტზე № 44, 119-ე — ლენინის ქუჩაზე № 65, 106-ე — მიასნიკოვის ქუჩაზე № 37, 143-ე შაუმიანის ქუჩაზე № 88 და 191-ე მაღაზია ქვემო ნავთლუღში.

კეცხოველის სახელობის საქალაქო კარჩაკაბინეტში

ლ. კეცხოველის სახელობის საქალაქო პარტკაბინეტში 21 მაისს საღამოს 8 საათზე, საკავშირო კ. პ. (ბ) ისტორიის შემსწავლელთა დასახმარებლად ქართულ და რუსულ ენაზე შედგება ლექცია თემაზე: **„ბოლშევიკების პარტია კომუნისტის გამარჯვებისათვის ხანგოთა ხალხის ბრძოლის სულისჩამდგმელი და ორგანიზატორი“.**

ლექტორები: დოცენტი **გ. ასათიანი** და **მ. სიხარულიძე.**

დღეს გაზეთ „ზარია ვოსტოკაში“

პირველი გვერდი — ვლადიმერ ილიას-ძე ლენინის სახელობის პიონერთა ორგანიზაციის ოცდაათი წლისთავისადმი მიძღვნილი საზეიმო კრების მონაწილეთა მისალმება ამხანაგ ი. ბ. სტალინისადმი.

ვ. ი. ლენინის სახელობის პიონერთა ორგანიზაციის ოცდაათი წლისთავი — საზეიმო კრება სსრ კავშირის დიდ თეატრში.

„პრავდის“ 20-V მოწონავე — მაღალი იდეურობისათვის გამომცემლობათა მუშაობაში!

ბრძანებულებები საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა.

მეორე გვერდი — დ. ნიკოლაიშვილი — მცხეთის რაიონის კოლმეურნეობებში. ი. მუხაძე — საუკეთესო შესაძლებლობას არ იყენებენ.

წესრიგი დავამყაროთ თელავის საღვარში. სამინისტროს მიერ დაგიწყებული ქარხანა.

აზერბაიჯანის მეცნიერები თბილისში.

იქ, სადაც კრიტიკისა ეშინიათ.

დაიწყო აბრეშუმის პარკის ჩაბარება.

მესამე გვერდი — მკითხველთა წერილები. განმეორებითი სიგნალები. თბილისის ელექტროტრანსპორტი. გულგრილი დამოკიდებულება დაკისრებული საქმისადმი.

რძის მომცემი პირუტყვი უზრუნველყოთ სუფთა წყლით.

ნ. ბახტაძე — ხალხურობისათვის საბჭოთა ჟურნალში.

მეოთხე გვერდი — უცხოეთის ინფორმაციები. ქალაქის ქრონიკა.

რედაქტორის მოადგილე
ი. ნატროშვილი

შემნახველი სალაროები იღებენ ანაბრებს ყველა მოქალაქისაგან და გასცემენ ანაბრებს ნაწილ-ნაწილ ან მთლიანად — მეანაბრეთა მოთხოვნისამებრ.

შემნახველ სალაროებში შეტანილ ანაბრებზე მეანაბრეთ ეძლევათ შემოსავალი: ანაბრებზე მოთხოვნამდე და მიმდინარე ანგარიშზე — 3% წლიურად. ვადიან ანაბრებზე — გადმ არანაკლებ რ თვისა — 5% წლიურად.

მომგებიან ანაბრებზე შემოსავალი გაიცემა მოგებათა სახით, მოგებათა ტირაჟები ეწყობა წელიწადში ორჯერ, მოგების თანხა დამოკიდებულია ანაბრის ოდენობასა და შემნახველ სალაროში მისი შენახვის ხანგრძლივობაზე.

შეიტანეთ ანაბრები შემნახველ სალაროებში.

თბილისის ოლქის სახელმწიფო შრომის შემნახველი სალაროებისა და სახკრედიტის სამმართველო.

ღღეს კინოებში

რუსთაველის სახელობის, „ამირანი“, „ოქტომბერი“, „თბილისი“, „ისანი“, 26 კომისრის სახელობის (საზამთრო) — დაუვიწყარი 1919 წელი; **26 კომისრის სახელობის** (საზაფხულო), **„კოლმეურნე“, „დიდუბე“** (საზამთრო) —ველური ბარა; **„დიდუბე“** (საზაფხულო) — დონელელი მეშახტეები.

მოქალაქე **ელენე ალექსანდრეს ასულმა პეშენჩნაიამ,** მცხოვრებმა ჩალაუბნის შესახვევი № 9, აღძრა საქმე კალინინის ქ. № 96 მცხოვრებ მოქალაქე **ვლადიმერ თეოფანეს-ძე კოპალეიშვილთან** განქორწინების შესახებ. საქმეს განიხილავს თბილისის კიროვის რაიონის პირველი უბნის სახალხო სასამართლო.

საქართველოს რადიოინფორმაციის კომიტეტის გადაცემათა პროგრამა

რადიოსადგურით 59,52 მეტრ ტალღაზე და ქალაქის სატრანსლაციო ქსელით

22 მაისს

06.25 — კნიპერის საკოლმეურნეო სუიტა; 07.40 — პიონერთა დაფიონი; 09.20—ნაწყვეტები ოფენბახის და ლეკოკის ოპერებიდან; 11.10 — კონცერტი; 11.25 — საუბარი: „ციმლიანსკაიას ჰიდროელექტროსადგური“; 11.40—ქართული